სტატია იხილავს წინა პლანის ცნებას ლიტერატურულ სტილისტიკაში. ეს ტერმინი თავდაპირველად იხმარებოდა ვიზუალურ ხელოვნებაში. სტილისტიკაში ის შემოღებულ იქნა ხელოვნებათმცოდნეობიდან, რომელიც ანსხვავებს ნახატის წინა პლანს და ფონს. 'წინა პლანი' დამყარდა როგორც ლინგვისტური ტერმინი (ლიტერატურულ სტილისტიკაში), როგორც საშუალება, რომლის დახმარებითაც დეფამილიარიზაციას აქვს ადგილი. იგი პირველად გამოიყენა პრადის სკოლის ლინგვისტმა მუკარჯოვსკიმ. წინა პლანის თეორია გულისხმობს, რომ ტექსტში არსებობს გარკვეული ბგერები, სიტყვები, ფრაზები და ქვეწყობილი წინადადებები, რომლებიც მნიშვნელოვნად განსხვავდებიან დანარჩენი კონტექსტისგან ანუ გარკვეული ენობრივი

‘ნორმისგან’, რის შედეგადაც ისინი წინა პლანზე გამოდიან და უფრო მნიშვნელოვანი ხდებიან. ნებისმიერი ლინგვისტური ან სტილისტური თვისების წინა პლანზე გამოტანა შეიძლება განხორციელდეს დევიაციის (გადახრის) ან პარალელიზმის (გამეორების) გამოყენებით. წინა პლანზე გამოტანა მკითხველის ემოციებს იწვევს და კითხვის დროს ახანგრძლივებს

საკვანძო სიტყვები:

წინა პლანზე წამოწევა, წინა პლანზე წამოწევის თეორია, დეფამილიარიზაცია, გადახრა, პარალელიზმი, რუსული ფორმალიზმი, ლიტერატურული სტილისტიკა, ხელოვნებათმცოდნეობა.

დიდი ქალაქის ზეგავლენა საზოგადოებრივ ყოფაზე

დოდო ლაბუჩიძე

გრიგოლ რობაქიძის სახელობის

სახელმწიფო უნივერსიტეტი

ფილოსოფიისა და სოციალურ

მეცნიერებათა კვლევითი ინსტიტუტი

ჭ. ბაგრატიონის ქ. №6, თბილისი,

საქართველო

Tel: 591 605 948

E-mail: dodolaboutchidze@yahoo.fr

რეზიუმე

თანამედროვე სოციალური კვლევების ჭრილში სულ უფრო მეტად იზრდება ინტერესი ქალაქის, როგორც სოციო-კულტურული სივრცის თავისებურებების მიმართ. ურბანული სოციოლოგიის წინაპირობები გვხვდება ისეთ მნიშვნელოვან მოაზროვნესთან, როგორც არის ფრანგული სოციოლოგიის ფუძემდებელი, სოციოლოგიური კონცეფციის რეფორმატორი ემილ დიურკემი (1858-1917). წინამდებარე სტატიაში წარმოდგენილია დიურკემის მოსაზრებები იმ ზეგავლენის შესახებ, რომელსაც საზოგადოებრივი ყოფის მრავალი სფეროს მომცველი დიდი ქალაქი ახდენს ადამიანთა სასიცოცხლო გარემოსა და მათ სულიერ ცხოვრებაზე.

საკვანძო სიტყვები:

ურბანიზმი, საზოგადოებრივი ყოფა, ტრადიცია, პროგრესი, სოციალური სტრუქტურა, სოლიდარობა.

შესავალი

ფილოსოფიური რეფლექსია ქალაქის სივრცის (ურბანული სიმბოლიკის მნიშვნელობის) შესახებ თავს იჩენს ჯერ კიდევ პლატონის დიალოგებში (ტიმეოსი, კრიტიასი). „ფილოსოფიური ურბანიტიკა შესაძ-

ლებელია, კულტურის ფილოსოფიის, მეტადრე კულტურის ანთროპოლოგიის შემადგენელ ნაწილად გაგიაზროთ. აღნიშნული დისციპლინის საფუძველს ქმნის სივრცე, რომელიც, როგორც გარდაქმნილი, ადამიანური სივრცე ახალ თვისებრიობას იძენს. ფილოსოფიის ქალაქთან კავშირი მრავალი კონკრეტული ქალაქის სახით ვლინდება. ეს კარგად ჩანს ათენისა და იერუსალიმის, ბაღდადისა და ფლორენციის, ალექსანდრიისა და რომის, ტოკიოსა და მოსკოვის და კიდევ მრავალი ქალაქის მაგალითზე.“ [2, გვ. 6]

„ურბანიზმით“ მოიაზრება პრაქტიკაზე ორიენტირებული დამოკიდებულება და ცხოვრების წესი; ამდენად, დაინტერესებულია ქალაქში არსებული ადამიანის სასიცოცხლო გარემოსა და მისი სამომავლო განვითარების საკითხთა შესწავლით. საკითხისადმი მზრადი ინტერესის მიუხედავად, დღემდე არ არსებობს ურბანიზმის შემსწავლელი მწყობრად ჩამოყალიბებული თეორია; ქალაქის სივრცის შესახებ არსებული კონცეფციები განსხვავებულ იდეებს ეფუძნება. ფილოსოფოსთა თუ სოციოლოგთა ცალკეულ შრომებში გამოკვეთილია ურბანული ყოფის მხოლოდ ესა თუ ის ასპექტი.

ძირითადი ნაწილი

ნაშრომში „სოციალური შრომის დანაწილება“ ემილ დიურკემი ქალაქის წარმოშობას უკავშირებს სეგმენტური ტიპის საზოგადოების გაუჩინარებას და ვაჭრობისა და ტექნიკის განვითარებას. დაბალი განვითარების სეგმენტური ტიპის საზოგადოებებში ქალაქი არ არსებობდა; ქალაქი იროკუზებისთვისაც უცნობი იყო და ძველი გერ-

მანებისთვისაც. რომსა და ათენში მიწათმოქმედების ფაზა მალევე შეწყდა და დაიწყო ურბანული ყოფა; რომის იმპერიის დაცემასთან ერთად ქალაქები არათუ გაუჩინარდა, არამედ, პირიქით, მათი ტერიტორია გაიზარდა, მაცხოვრებელთა რაოდენობამ მოიმატა. ქალაქთა მზარდი განვითარების წყაროდ დიურკემს მიაჩნია იმიგრაცია ანუ ქალაქები გარედან იძენენ იმ ელემენტებს, რომლებიც ხელს უწყობენ მათ მზარდ განვითარებას. ქალაქთან სოფლის შერწყმის ტენდენცია კი მხოლოდ ამ მოძრაობის გაგრძელებაა; დროის კვალობაზე, ქალაქი ხდება ახლომახლო სოფლების სულიერი, პოლიტიკური და სამხედრო ცენტრი, „ესწრაფვის მრეწველობის ყოველი დარგის განვითარებას, რათა მათი პროდუქტით მოამარაგოს სოფელი და ცდილობს ვაჭრობისა და ტრანსპორტის კონცენტრაციას თავის ტერიტორიაზე“. [1, გვ. 265] რადგან მიწას, ძირითადად, თავადაზნაურობა ფლობდა, სენიორის მიერ მისსავე მამულში პერიოდული შეკრებებისათვის ბაზრისათვის შერჩეული ცენტრალური ადგილები გერმანული ქალაქების დასაბამი შეიქმნა; მათი მკვიდრი მოსახლეობა, თითქმის ექსკლუზიურად, მხოლოდ ხელოსნებისა (ვაჭრების დარად, ისევე იოლად რომ ტოვებდნენ მშობლიურ მხარეს) და ვაჭრებისაგან შედგებოდა, რადგან სახელოსნოსა და დახლთან მუშაობა მდაბიოთა ხვედრი იყო; „თუმცა მათ სწორედ მრეწველობისა თუ კომერციის წყალობით დაიმკვიდრეს ადგილი სამეფოში“. [1, გვ.35-36] სწორედ ამიტომ იწოდებოდნენ ისინი *forenses an mercatores-ებად*, ხოლო სიტყვები ბურჟუა და მოქალაქე სინონიმები იყო. მრავალრიცხოვანი ქალაქების არამკვიდრი მოსახლეობა, ძირითადად, ის ადამიანები იყვნენ, „ზრდასრულებმა რომ დატოვეს მშობლიური კერა და თავი დაადწიეს უფროსების ზეგავლენას. ამიტომ ქალაქად მოხუცთა რიცხვი ძალზე დაბალია, სამაგიეროდ, ბევრად ჭარბობს ჯან-ღონით სავსე ადამიანთა რაოდენობა“. [1, გვ. 405] თავისი მოსაზრების დასტურად,

დიურკემი იშველიებს ორი ავტორის, დიუნანისა და ბერლიტონის, დემოგრაფიული მონაცემების სტატისტიკურ ანალიზს: „1881 წელს, პარიზში 20-დან 25 წლამდე ასაკის 1 118 ინდივიდს ითვლიდნენ, ქვეყნის დანარჩენ ტერიტორიაზე კი 874 [...] პროვინციაში პირველთა რიცხვი 618, მეორეთა კი 106 იყო“. [1, გვ.406]

ჩვეულებრივ, გეოგრაფიულ დანაწილებას, ყოველ ტერიტორიულ ერთეულს თავისი დამახასიათებელი წეს-ჩვეულებები, ცხოვრების რაღაც საკუთარი წესი აქვს, რაც მისი სულისკვეთებით გამსჭვალულ ინდივიდებზე, მათ სულიერ ცხოვრებაზე ახდენს გავლენას. ქალაქი ის პუნქტია, სადაც სოციალური მასის კონცენტრაცია ბევრად უფრო მაღალია, ვიდრე სხვაგან, სადაც მცხოვრებთა დიდი მასის კონცენტრაცია, მოსახლეობის აღრევა ზეგავლენას ახდენს საზოგადოებრივ ყოფაზე და ადამიანურ სივრცეს ახალ თვისებრიობას სძენს. ქალაქში, სოციალურად ჰეტეროგენული ინდივიდებით დასახლებულ სივრცეში, ადამიანი გარდაქმნის საზოგადოებრივი ყოფის მრავალი სფეროს მომცველ თავის სამკვიდრო გარემოს და ამ პროცესში თავადაც გარდაიქმნება; ავტორის თქმით, ესაა „კანონი გამონაკლისის გარეშე“. იგი საგანგებო ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტზე, რომ თაობათა უწყვეტი კონტაქტით არამატერიალიზებულ საზოგადოებაში დიდწილად ტრადიციის ავტორიტეტით განაპირობებული კოლექტიური ცნობიერება სულ უფრო მეტ აბსტრაქტულობას იძენს, ნაკლებად მჭიდროდ მოიცავს ინდივიდს, ათავისუფლებს მას წინაპართა ზეგავლენისაგან, მეტ თავისუფლებას იძენენ წინაპართა წეს-ჩვეულებებისადმი, ასაკთა შორის სხვაობის ნიველირება იწვევს ტრადიციათა შესუსტებას, დაბოლოს, ძალადაკარგული ტრადიცია ფარ-ხმაღს ყრის. კოლექტიური უღლის ზეწოლისაგან ბევრად უფრო თავისუფალი ინდივიდი მით უფრო იოლად მიყვება საკუთარ გზას, რაც უფრო ადვილად აღწევს თავს ასეთ კონტროლს

და თავისუფლად ვარირების საშუალებას აძლევს ინდივიდუალობას, რამეთუ „ინდივიდუალობა შეიძლება წარმოიქმნას მხოლოდ მაშინ, როდესაც ჯგუფს ნაკლები ადგილი უკავია ჩვენს არსებაში“. [1, გვ. 384]

საკუთარი ინდივიდუალობის შენარჩუნების სანაცვლოდ, ადამიანები აღარ რეაგირებენ მრავალ გარე სტიმულზე; ერთმანეთის მიმართ თავშეკავებული დამოკიდებულება, სოციალური დისტანციები ხელს უწყობს დიდი ქალაქებისათვის დამახასიათებელ ცხოვრების წესს (ანონიმურობა, გულგრილობა); გარდა ამისა, ადამიანები ერთმანეთსაც ნაკლებად იცნობენ, თუ საქმე ეხება ისეთ პირს, რომელსაც მხოლოდ დროდადრო, თანაც სხვათა შორის, გზად ხელავენ, იგი საერთოდ არ იწვევს ინტერესს; მისადმი გულგრილთ „არც იმის გაგება გვაინტერესებს, რაც მის თავს ხდება, და არც იმაზე დაკვირვება, რას აკეთებს. მეორე მხრივ, ნათელია, რომ, ყოველი ინდივიდი რაც უფრო ბევრ ინდივიდთანაა მიმართებაში, ურთიერთობები მით უფრო იშვიათი და ხანმოკლეა“ [1, გვ. 410]. ყურადსაღებია ისიც, რომ დიდ ქალაქებში ნაკლები ძალით იგრძნობა აზრის ზეწოლა. თითოეულის ყურადღება გაფანტულია იმდენი სხვადასხვა მიმართულებით, რომ „ყოველ წამს უამრავი საქმიანობა და გარეშე პირთა წყალობით განცალკევებული მეზობლები და ოჯახის წევრებიც კი სულ უფრო იშვიათად ხვდებიან ერთმანეთს. ყველგან, სადაც აგლომერაციის სიმჭიდროვე და მოცულობა შესაბამისობაშია, პირადი კავშირები იშვიათი და სუსტია: მხედველობის არედან უფრო ადვილად კარგავენ სხვებს, იმათაც კი, ვინც ყველაზე ახლოს არიან; ახლობლებისადმიც კი აღარ აქვთ ისეთივე ინტერესი“. [1, გვ. 410]

მაღალი განვითარების საზოგადოების ბუნებიდან მომდინარე, სწრაფი აქსელერაციის ზეგავლენა განაპირობებს დიდ ქალაქში მცხოვრებ პირთა საოცრად მობილურ განწყობას, რის შედეგადაც საოცარი სისწრაფით იცვლება ცხოვრება, კერძოდ, გა-

მუდმებით ვითარდება რწმენები, გემოვნება, იქმნება იდეები, მოდა, ადათ-წესები, ახალი მოთხოვნილებები, რათა შემდეგ დანარჩენ ქვეყანაზე გავრცელდეს. ერთი სიტყვით, „დიდი ქალაქები პროგრესის ის უდავო კერებია, სადაც ადამიანები ბუნებრივად არიან ორიენტირებულნი მომავალზე, სადაც ზუსტად აისახება მათი განწყობა ცვლილებებისადმი; ნებისმიერი სახის ევოლუციისათვის უფრო ხელსაყრელ ნიადაგს ვერსად ნახავთ“. [1, გვ. 406]

დიურკემი ყურადღების მიღმა არ ტოვებს პატარა ქალაქის საზოგადოებრივ ყოფაში მომხდარ ცვლილებებსაც; სეგმენტოა სულ უფრო სრულად შერწყმის კვალობაზე, პატარა ქალაქის მკვიდრიც აღარ ცხოვრობს ისე სრულად მის გარშემო არსებული მცირე ჯგუფის ყოფით. ავტორი ხაზგასმით მიუთითებს, რომ მზარდი კომუნიკაციისა და ტრანსმისიის კვალობაზე, პერსპექტივები ფართოვდება, რაც ხელს უწყობს ძირეულ ცვლილებებს პატარა ქალაქის მკვიდრთა ცხოვრების წესშიც. „მგზავრობების სიხშირეს, აქტიურ მიწერ-მოწერას, საკუთარი ქალაქისაგან შორ საქმიანობას და ა. შ. მისი მზერა გადააქვს იქიდან, რაც მის გარშემო ხდება. მისი ცხოვრებისა და საქმიანობის ცენტრი ისე სრულად აღარაა ის გარემო, სადაც იგი მკვიდრობს“. [1, გვ. 412] ასე რომ, ნაკლებად ინტერესდება თავისი მეზობლებით, რომელთაც ძალზე მცირე ადგილი უჭირავთ მის ექსისტენციაში. ამასთანავე, პატარა ქალაქი ნაკლებად ზემოქმედებს მასზე, რადგან მისი ცხოვრება სცდება ამ შეზღუდულ ჩარჩოს და მისი ინტერესები და გრძნობები ბევრად შორს ვრცელდება.

დიდი ქალაქის ერთ-ერთ არსებით მახასიათებლად დიურკემი მიიჩნევს შრომის მაქსიმალურ დანაწილებას, რაც ბევრად მეტი რაოდენობის ადამიანს უზრუნველყოფს საარსებო საშუალებებით, ხაზგასმით მიუთითებს, რომ ქალაქი მუდამ სიდუხჭირის ქმნილებაა, ადამიანებს, შეძლებისდაგვარად, უბიძგებს მუდმივად მჭიდრო კონტაქტისა-

კენ, თუმცა საქმიანობის განსხვავებული ობიექტის გამო, ერთსა და იმავე დიდ ქალაქში სხვადასხვა პროფესიათა თანაარსებობა ურთიერთზიანის მიუყენებლადაც შესაძლებელია: ჯარისკაცი სამხედრო დიდებას ესწრაფვის, სახელმწიფო მოხელე ძალაუფლებას, მრეწველი სიმდიდრეს, მეცნიერი სამეცნიერო სარბიელზე აღიარებას და ა.შ. თითოეულ მათგანს აქვს შესაძლებლობა მიადწიოს საკუთარ მიზანს ისე, რომ ხელი არ შეუშალოს სხვებს თავიანთი მიზნის მიღწევაში. მსგავსი ვითარებაა ნაკლებად დაცვილებულ ფუნქციათა შემთხვევაშიც: ოკულისტი ფსიქიატრის კონკურენტი არაა, მეწაღე მექულისა, კალატოზი დურგლისა და ა. შ. თუ შუა საუკუნეებში მუშას ჯერ კიდევ უჭირდა საკუთარი ქალაქის გარდასხვა ქალაქში სამუშაოს შოვნა, XIV საუკუნიდან ვითარდება შრომის ინტერეგონალური დანაწილება, ქალაქის წიადში მოქალაქეები ჯგუფდებიან პროფესიათა მიხედვით, სხვადასხვა ქალაქი სულ უფრო მეტად ესწრაფვის გარკვეულ სპეციალობას. დღესდღეობით ერთმანეთისაგან მიჯნავენ „საუნივერსიტეტო, სამოხელეო, საფაბრიკო, სავაჭრო ქალაქებს, მინერალური წყლებით მდიდარ თუ ქალაქრანტიებს [...] საკომუნიკაციო საშუალებები და საკრედიტო ორგანიზაცია ფებს უწყობს კერძო გარემოებებს“.

[1, გვ.266]

დიურკემის აზრით, შრომის დანაწილების საფუძველზე პროგრესი, ე.ი. დიფერენციაციისა და სპეციალიზაციის მაღალი ხარისხი მით უფრო სწრაფი იქნება, „რაც უფრო იოლად შეეძლება ინდივიდს ჰარმონიის დამყარება საკუთარ ინდივიდუალურ გარემოსთან; თუმცა საამისოდ თავად ასეთი გარემოს არსებობა როდი კმარა; საჭიროა, ყოველ ინდივიდს თავისუფალად შეეძლოს მასთან ადაპტაცია, ე.ი. დამოუკიდებლად მოძრაობა მაშინაც, როცა მთელი ჯგუფი იმავედროულად და იმავე მიმართულებით არ მოძრაობს, განსხვავებით მექანიკური სოლიდარობის პირობებისაგან, როდესაც ყველა

იძულებული იყო ერთნაირად ეწარმოებინა პროდუქტი, როცა კერძო პირთა მოძრაობები იშვიათი, ყოველგვარი ინდივიდუალური ცვლილება კი შეუძლებელი იყო.“ [1, გვ. 390]

ავტორი ორგანიზებულ საზოგადოებათა მორალის ბევრად უფრო მეტი ჰუმანურობისა და რაციონალურობის წყალობად მიიჩნევს იმ ფაქტს, რომ შრომის დანაწილების კვალობაზე შექმნილი მორალისა და სამართლის მრავალი პროფესიული სისტემა მნიშვნელოვნად ზრდის ინდივიდის ქმედების არეალს; მაღალგანვითარებული საზოგადოების სოციალური ორგანიზაციის რთულ ჩარჩოებში სუსტ ინდივიდსაც (უფრო ჰომოგენურ საზოგადოებებში, დასაღუპავად რომ იქნებოდა განწირული) შეუძლია მოიძიოს ისეთი ადგილი, სადაც მას რაიმე საქმიანობის შესრულება შეეძლება. „საკუთარი წიადის მეორე რიგის უჯრედებში საზოგადოებას საკმაოდ აქვს პატარ-პატარა ადგილები, რომლებიც არ უშვებენ მის ელიმინაციას“.[1, გვ. 373]. ასე რომ, ფიზიკურად სუსტ, გონებით კი სრულიად ჯანსაღ ინდივიდს შეუძლია, საქმიანობად აირჩიოს სპეკულაციური ფუნქციების შესრულება, ხოლო გონებრივად განუვითარებელმა დიდ ინტელექტუალურ კონკურენციაში ჩაბმაზე, ცხადია, უარი უნდა თქვას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, იგი საგანგებოდ გამოკვეთს იმ ფაქტს, რომ შრომის დანაწილება დაკავშირებულია მორალურ ცხოვრებასთან, „ინდივიდთა შორის უნდა არსებობდეს არა მხოლოდ მატერიალური კონტაქტი, არამედ, ასევე საჭიროა მათ შორის მორალური კავშირების არსებობაც [...] შრომის დანაწილებით სოციალური ცხოვრება იგულისხმება.“ [1, გვ. 381] განსხვავებით ეკონომისტებისაგან, შრომის დანაწილება მხოლოდ სოციალურ ძალთა მწარმოებლურობის ზრდის საშუალებამდე რომ დაყავდათ, დიურკემის თეორიის თანახმად, შრომის დანაწილება ერთმანეთის პირისპირ აყენებს არა ინდივიდებს, არამედ სოციალურ ფუნქციებს, რომელთა სწორი ქმედე-

ბა საზოგადოების სიჯანსაღის საწინდარია. „შრომის დანაწილება, უწინარეს ყოვლისა, სოციალური კოჰეზიის წყაროა“ [1, გვ. 536] და განპირობებულია, უმთავრესად, რწმენათა და გრძნობათა ერთიანობით. რაც უფრო მრავალრიცხოვანი და ძლიერია შრომის დანაწილების შედეგად წარმოქმნილი სოციალური კავშირები, მით უფრო მყარია ზნეობა; ინდივიდთა შორის ძლიერდება სოლიდარობის გრძნობა, ინდივიდის პიროვნულობა განიცდის პროგრესს. „მორალურია ყოველივე ის, რაც სოლიდარობის წყაროა, რაც აიძულებს ადამიანს ანგარიში გაუწიოს სხვებს, არ იხელმძღვანელოს მხოლოდ საკუთარი ეგოისტური იმპულსებით თავის ქმედებებში [...]. მორალი არის სოციალური სოლიდარობის პირობათა ერთობლიობა. სოციალური შრომის დანაწილება ეთანადება ასეთ კრიტერიუმს“ [1, გვ.540].

თუმცა ავტორი ასევე დასძენს: რაც მეტად უახლოვდება ფუნქციები ერთმანეთს, მით უფრო მძაფრდება კონკურენცია; შრომა უფრო მეტად ნაწილდება იმიტომ, რომ ბევრად უფრო გამძაფრებულია ბრძოლა სიცოცხლისათვის. ქალაქის მაცხოვრებლები იძულებულნი არიან მაქსიმალურად გააღრმავონ საკუთარი სპეციალიზაცია, მართებულად ადასრულონ პროფესიული მოვალეობები, რადგან „სპეციალიზაციას ვსაჭიროებთ არა უფრო მეტის საწარმოებლად, არამედ იმისთვის, რომ შეგვეძლოს ცხოვრება ექსისტენციის იმ ახალ პირობებში, რომელიც შეგვექმნა“ [1, გვ.372]. ამგვარი განაზრებების საფუძველზე, დიურკემი აყალიბებს თანამედროვე საზოგადოების მორალური ცნობიერების ერთ-ერთ კატეგორიულ იმპერატივს: „აქციე საკუთარი თავი უნარიან ადამიანად, რათა შეასრულო გარკვეული ფუნქცია სარგებლიანი უკუგებით“ [1, გვ. 69].

დასკვნა

შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ საზოგადოებრივ ყოფაზე დიდი ქალაქის ზეგავლენის შესახებ ემილ დიურკემის მიერ განხილულ საკითხთა ფართო წრე ხელს შეუწყობს ქალაქის თვითმყოფადობის ფენომენის გააზრებას და გააღრმავებს ინტერკულტურული კომუნიკაციის პროცესს. დიურკემმა მეტად სიღრმისეულად წარმოაჩინა ურბანული ყოფისთვის ნიშანდობლივი რამდენიმე ისეთი ასპექტი, როგორცაა ინდივიდუალური თავისუფლებისა და ანონიმურობის მაღალი ხარისხი, შრომის დანაწილების რაობა, მზარდი სპეციალიზაციის საჭიროება, სოლიდარობის ფუნქცია, რომ სოციუმის წევრ ადამიანთა შორის სწორი თუ არასწორი თანამშრომლობის მიხედვით, საზოგადოება იქნება ჯანსაღი ან არაჯანსაღი. ავტორის მოსაზრებათა მართებულობა ცხადყო დრომ. გლობალიზაციის ეპოქაში, თანამედროვე საზოგადოებებში მიმდინარე სწრაფი ცვლილებების პროცესში, სულ უფრო მეტად შეინიშნება ქალაქის სოციო-კულტურული სივრცის ზეგავლენა საზოგადოებრივ ყოფაზე და მის მკვიდრთა სულიერ ცხოვრებაზე; ერთი მხრივ, სხვადასხვა სემენტთა განმაცალკევებელი სადემარკაციო ხაზების გაუჩინარების კვალობაზე, ჯგუფთან მიმართებით ინდივიდთა ბევრად უფრო მეტი დამოუკიდებლობა, მათ აძლევს თავისუფლად ვარირების საშუალებას; მეორე მხრივ, საზოგადოებებში ის გაერთიანების საფუძველი იმდენად გაფართოვდა, რომ ადამიანები სულ უფრო მეტად ხდებიან დამოკიდებულნი ერთმანეთზე, სულ უფრო მეტად საჭიროებენ იმ საქონელსა და მომსახურებას, რომელთაც სხვა პროფესიის ადამიანები ქმნიან. ამდენად, სოციალური სოლიდარობის, როგორც სოციალური ინტეგრაციის უმაღლესი პრინციპის, შენარჩუნება დიდწილად მხოლოდ მორალური ღირებულებების, წეს-ჩვეულებების გააზრებით არის შესაძლებელი. ცივილიზაციის არსებითი ფაქტორის დეფინციით,

დიურკემმა კიდევ უფრო უკეთ ნათელყო, რომ, სოციალური ინტეგრაციის თვალსაზრისით, უმაღლესი ღირებულება სოციალური სოლიდარობაა. დიურკემის იდეები განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს პოსტკოტალიტარულ საზოგადოებაში, სოციალური ინსტიტუტების რადიკალური ცვლილებების პერიოდში. სრულყოფილად განხორციელების საქმეში..

ლიტერატურა

1. ე. დიურკემი (2012): სოციალური შრომის დანაწილება, ფრანგულიდან ქართულად თარგმნა დოდო ლაბუჩიძე-ხოფერიამ. თბილისი
2. თ. ირემაძე, ჰ. შნაიდერი (2014): ფილოსოფიური ურბანისტიკა. თეორია ადამიანური სივრცის შესახებ. იხ. ფილოსოფიური ურბანისტიკა. „ნეკერი“. თბილისი
3. თ. ირემაძე (2013): ფილოსოფია ეპოქათა და კულტურათა გზაგასაყარზე. „ნეკერი“ თბილისი
4. ე. დიურკემი (2001): სოციოლოგიის მეთოდის წესები, ფრანგულიდან ქართულად თარგმნა დოდო ლაბუჩიძე-ხოფერიამ, „იონე პეტრიწი“. თბილისი
5. ჰ. შნაიდერი (2010): ფილოსოფიური გეოგრაფია, გერმანულიდან ქართულად თარგმნა გიორგი თავაძემ. „ნეკერი“. თბილისი

Влияние большого города на социальную жизнь

Лабучидзе Додо Акакиевна
Университет им. Гр. Робакидзе
Институт философии и социальных наук
Ул. Дж. Багратиони №6, Тбилиси, Грузия
Тел.: 591 605 948
E-mail: dodolaboutchidze@yahoo.fr

Резюме

В контексте современных социологических исследований все чаще проявляется интерес к особенностям города как к социально-культурному пространству. Начала урбанной социологии даны у выдающегося французского мыслителя Эмиля Дюркгейма [1858-1917] основателя французской социологии, реформатора социологической концепции. В статье рассмотрен анализ идей Э. Дюркгейма о влиянии большого города на общественной жизни в среде обитания людей и их духовной жизни.

Ключевые слова:

урбанизм, общественная жизнь, традиции, прогресс, социальная структура, солидарность, разделение труда.

The Influence of the Big City Social Life

Dodo Labuchidze
Grigol Robakidze State University
Institute Of Philosophy and Social Sciences
6, St. of J. Bagrationi, Tbilisi Georgia
Tel.: 591 605 948
E-mail: dodolaboutchidze@yahoo.fr

Abstract

In the context of modern sociological research is increasingly manifest interest to the particularities of the city as socio-cultural space urban sociology prejudices are given in a eminent french thinker by Emile Durkheim – the founder of French sociology, the reformer of the sociological concept [1858-1917]. This article aims at analyzing the thoughts Durkheim which demonstrated the influence of the big city encompassing several spheres of social life to the habitat of men and their spiritual life.

Keywords:

urbanism, social life, tradition, progress, social structure, solidarity, division of work.

თარგმანის ზოგადი თეორია და კომუნიკაციური ლინგვისტიკა

რუსუდან თაბუკაშვილი

*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ლიბერალურ მეცნიერებათა დეპარტამენტი
კოსტავას ქ. № 77, 0175, თბილისი,
საქართველო
Tel: 593 512 484
E-mail: r.tabukashvili@gmail.com*

ია ჩიქვინიძე

*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ლიბერალურ მეცნიერებათა დეპარტამენტი
კოსტავას ქ. № 77, 0175, თბილისი,
საქართველო
Tel: 551 453 531
E-mail: chikvinidse@gmail.com*

რეზიუმე

თარგმანის ზოგადი თეორია თარგმანის ლინგვისტიკური თეორიის შემადგენელი ნაწილია და ქმნის ერთიან პარადიგმას თარგმანის კერძო თეორიებთან ერთად, რომლებიც ცალ-ცალკე შეისწავლიან ერთი ენიდან მეორე ენაზე თარგმანის ლინგვისტიკურ ასპექტებს, ლინგვისტიკურ კანონზომიერებებს. თარგმანის ლინგვისტიკური მექანიზმის აღწერა შესაძლებელს ხდის სხვადასხვა ნორმატიული რეკომენდაციების, პრინციპებისა და წესების, თარგმანის მეთოდებისა და ხერხების ფორმულირებას, რომლებიც ხელს უწყობენ მთარგმნელს გაართვას თავი თარგმანის პროცესში წარმოშობილ ამოცანებსა და პრობლემებს. არც თუ უმნიშვნელოა კულტურული ადაპტაციის ასპექტიც, რომელიც მიზნად ისახავს თარგმანის ორიენტაციის უზრუნველყოფას უცხოენოვან რეციპიენტზე.

საკვანძო სიტყვები:

თარგმანის თეორია, თარგმანის ლინგვისტიკური თეორია, კომუნიკაციური ლინგვისტიკა, ტრანსლატოლოგია.

შესავალი

სამეცნიერო ლიტერატურაში თარგმანის მეცნიერული კვლევის დასაწყისად XVIII საუკუნე ითვლება. სპეციალური ლიტერატურის წყაროები მის ინიციატორად საფრანგეთის აკადემიას ასახელებენ. XX საუკუნის მეორე ნახევარში თარგმანის თეორიამ ახალი სიცოცხლე შეიძინა, მოგვიანებით კი იგი თვისობრივად ახალ ხარისხში გადაიზარდა და იგი თარგმანის ლინგვისტიკის სახელით დამკვიდრდა. ეს უკანასკნელი ტექსტის ლინგვისტიკისა და ტექსტის ინტერპრეტაციის განვითარების ხელშემწყობ დისციპლინად ჩამოყალიბდა.

ძირითადი ნაწილი

თარგმანის მეცნიერულმა შესწავლამ ზემოთქმულის საფუძველზე გაიფართოვა თავისი "სამოქმედო არეალი" და ერთი მხრივ, შეიქმნა სამეცნიერო დარგი - თარგმანის ლინგვისტიკა, რომელშიც თავი მოიყარა თარგმანის თეორიის შესახებ არსებულმა ცოდნის მარაგმა და მეორე მხრივ, - თარგმანის შესწავლის ფარგლებში გაჩნდა ახალი მიმართულება - თარგმანის ისტორია. ამ ორი სამეცნიერო დარგის გაერთიანებამ შეადგინა ახალი ფილოლოგიური დარგი - თარგმანმცოდნეობა, ანუ ტრანსლატოლოგია. თარგმანმცოდნეობა აერთიანებს ორ ასპექტს: 1. თარგმანის თეორიას, ანუ თარგმანის მეცნიერული შესწავლას და 2. თარგმანის პრაქტიკას. თარგმანმცოდნეობის კვლევის ველის განსაზღვრას საფუძველად დაედო ჯ. პოლმსის სტატია "The nature of Translation". ამ სტატიაში ჯ. პოლმსი ორ დიდ მიმართულებას განასხვავებს: "თეორიულ თარგმანმცოდნეობას" და "პრაქტიკულ თარგმანმცოდნეობას". მისი აზრით, თეორიული თარგმანმცოდნეობის მიზანია თარგმანის მოვლენების აღწერა, ექსპლიკა-

ციური პრინციპების განსაზღვრა და მთარგმნელობითი პრაქტიკის თეორიული დამუშავება. "პრაქტიკული თარგმანმცოდნეობის" მიზანს კი წარმოადგენს პრინციპებისა და თეორიების სისრულეში მოყვანა, იმ საშუალებების განვითარება, რომლებიც მთარგმნელებს თარგმნის განხორციელებაში დაეხმარება [H. Holmes.1970].

ჯ. ჰოლმისი თვლის, რომ ამ ორ მიმართულებას შორის დიალექტიკური ურთიერთობა არსებობს. მართლაც, თეორიული თარგმანმცოდნეობა პრაქტიკულ რჩევებს გვაწვდის, ხოლო პრაქტიკული თარგმანმცოდნეობა თეორიულ მსჯელობას ამდიდრებს. ისინი ერთსა და იმავე პლანში განიხილება და ორივე თანაბარ ყურადღებას საჭიროებს [H. Holmes.1970].

სპეციალურ ლიტერატურაში არსებობს მოსაზრება, რომ ერთმანეთისაგან უნდა გაიმიჯნოს არა მარტო თარგმანის თეორიისა და თარგმანის პრაქტიკის მიმართულებები, არამედ მათი შესაბამისი ტერმინებიც, თუმცა მათ შორის დიალექტიკურ კავშირს აღიარებს ყველა მეცნიერი. ზოგიერთი მკვლევარი მათ ფართო და ვიწრო გაგებით განიხილავს და თვლის, რომ ტერმინი "თარგმანის თეორია" ფართო გაგებით ანტინომიურ მიმართებაშია ტერმინთან "თარგმანის პრაქტიკა" და მოიცავს ნებისმიერ კონცეფციას, პოზიციას და დაკვირვებას, რომელიც ეხება თარგმანის სრულყოფილი განხორციელებისათვის სავალდებულო მთარგმნელობით პრაქტიკას, მეთოდებს, ხერხებსა და პირობებს, სხვადასხვა ფაქტორებს, რომლებიც ახდენენ თარგმანზე პირდაპირ ან ირიბ ზემოქმედებას. "თარგმანის თეორიის" ამგვარი ინტერპრეტაცია თანხვედრაშია ცნებასთან "თარგმანმცოდნეობა".

ვიწრო გაგებით "თარგმანის თეორია" გულისხმობს თარგმანმცოდნეობის მხოლოდ კერძო თეორიულ ნაწილს, რომლის ფარგლებშიც ხდება თარგმანის თეორიის შეპირისპირება გამოყენებით ასპექტებთან.

თარგმნა რთული და მრავალმხრივი მო-

ვლენაა, რომლის ცალკეული ასპექტებიც სხვადასხვა მეცნიერების კვლევის ობიექტებია. თარგმანმცოდნეობის ჩარჩოებში ხორციელდება, ერთი მხრივ, მთარგმნელობითი საქმიანობის ფსიქოლოგიური, ლიტერატურათმცოდნეობითი, ეთნოგრაფიული და სხვა ასპექტების შესწავლა, ხოლო მეორე მხრივ - სხვადასხვა ქვეყნებში მთარგმნელობითი საქმიანობის ისტორიის გაცნობა/შესწავლა.

კვლევის საგნის მიხედვით შესაძლებელია გამოიყოს ფსიქოლოგიური თარგმანმცოდნეობა, იგივე თარგმანის ფსიქოლოგია, ლიტერატურული თარგმანმცოდნეობა, იგივე მხატვრული და ლიტერატურული თარგმანი, ეთნოგრაფიული თარგმანმცოდნეობა, ისტორიული თარგმანმცოდნეობა და ა.შ.

თანამედროვე ეტაპზე წამყვანი ადგილი უჭირავს ლინგვისტურ თარგმანმცოდნეობას, იგივე თარგმანის ლინგვისტიკას, რომელიც თარგმანს შეისწავლის როგორც ლინგვისტურ მოვლენას. თარგმანმცოდნეობის ცალკეული სახეობები ავსებენ ერთმანეთს და ისწრაფვიან აღწერონ მთარგმნელობითი საქმიანობა სხვადასხვა კუთხით. დღესდღეობით ტერმინი "თარგმანის თეორია" გამოიყენება "თარგმანის ლინგვისტური თეორიის" მნიშვნელობით. "თარგმანის თეორიის" ასეთი გაგება/ინტერპრეტაცია გვაძლევს საშუალებას განვასხვაოთ შემდეგი დისციპლინები: "თარგმანის ზოგადი თეორია", "თარგმანის კერძო თეორიები" და "თარგმანის სოციალური თეორიები".

თარგმანის ზოგადი თეორია თარგმნის ლინგვიტიკური თეორიის შემადგენელი ნაწილია, რომელიც შეისწავლის თარგმანის ზოგად ლინგვისტიკურ კანონზომიერებებს, რაც, თავის მხრივ, არაა დამოკიდებული თარგმნის პროცესში მონაწილე კონკრეტული ენობრივი წყვილის თავისებურებებზე, იგი ასევე არაა დამოკიდებული ამ პროცესის განხორციელების ხერხებზე და თარგმანის კონკრეტული აქტის ინდივიდუალურ თავისებურებებზე. თარგმანის ზოგადი თე-

ორია მოიცავს ნებისმიერი ორიგინალის ნებისმიერი ენიდან ნებისმიერ ენაზე თარგმანის ნებისმიერ ტიპს.

როგორც უკვე ითქვა, თარგმანის ზოგადი თეორია თარგმნის ლინგვისტიკური თეორიის ნაწილია არა განყენებულად, არა სეპარატულად, არამედ თარგმანის კერძო თეორიებთან ერთად, რომლებიც შეისწავლიან ერთი ენიდან მეორე ენაზე თარგმანის ლინგვისტიკურ ასპექტებს. გარდა ამისა, თარგმანის ზოგადი თეორია "თანამშრომლობს" და შესაბამისად, შეხებაშია თარგმანის სპეციალურ თეორიებთან, რომელთა მიზანია ახსნან, ერთი მხრივ, სხვადასხვა ტიპისა და ჟანრის ტექსტების თარგმანის პროცესის თავისებურებები, ხოლო მეორე მხრივ, ახსნან ის, თუ რა გავლენა აქვს ამ პროცესის ხასიათზე მისი განხორციელებისათვის საჭირო სამეცნიერო ფორმებსა და სამეცნიერო პირობებს. თარგმანის ზოგადი თეორია გვაძლევს თეორიულ საფუძველს და განსაზღვრავს თარგმანის კერძო და სპეციალური თეორიების ძირითად ცნებებს. თარგმანის კერძო და სპეციალური თეორიები აკონკრეტებენ თარგმანის ზოგადი თეორიის პოზიციებს, რომლებიც გამოიყენება თარგმანის ცალკეულ ტიპებთან და სახეობებთან მიმართებაში. თარგმანის თეორიის ძირითადი მიზნებია:

1. ახსნას და აღწეროს თარგმანის ზოგად-ლინგვისტიკური საფუძვლები, რაც ნიშნავს, განიხილოს შემდეგი მომენტები: ენობრივი სისტემის რა ტიპის თავისებურებები და ენათა ფუნქციონირების რომელი კანონზომიერებები უდევს საფუძვლად მთარგმნელობით პროცესს, როგორ უწყობენ ისინი ხელს ამ პროცესის განხორციელებას, განსაზღვროს მისი ხასიათი და დაადგინოს მისი საზღვრები;

2. განსაზღვროს თარგმანი როგორც ლინგვისტიკური კვლევის ობიექტი, მიუთითოს იმაზე, თუ რითი განსხვავდება იგი ენობრივი "შუამავლის" (მაკავშირებლის) სხვა სახეობებისგან;

3. შეიმუშაოს მთარგმნელობითი საქმიანობის ტიპების კლასიფიკაციის საფუძველები;

4. ახსნას მთარგმნელობითი ეკვივალენტობის არსი როგორც ორიგინალი და ნათარგმნი ტექსტის კომუნიკაციური თანასწორობის, თანადირებულების საფუძველი;

5. შეიმუშაოს ენათა სხვადასხვა კომბინაციებისათვის თარგმანის კერძო და სპეციალური თეორიების აგების ზოგადი პრინციპები და თავისებურებები;

6. შეიმუშაოს თარგმანის პროცესის სამეცნიერო აღწერის ზოგადი პრინციპები, რომლებიც ეხება მთარგმნელის ქმედებას - გარდასახოს ორიგინალის ტექსტი ნათარგმნი ტექსტად;

7. ახსნას თარგმანის პროცესზე პრაგმატიკული და სოციოლინგვისტიკური ფაქტორების გავლენა;

8. განსაზღვროს ცნება "თარგმანის ნორმა" და შეიმუშაოს თარგმანის ხარისხის შეფასების პრინციპები.

თარგმანის თეორია ლინგვისტიკური ასპექტების გარდა მოიცავს ასევე გამოყენებით ასპექტებსაც, რომლებიც დაკავშირებულია თარგმანის სწავლების მეთოდოლოგიათა, მრავალფეროვანი და სხვადასხვაგვარი ლექსიკონებისა და საცნობარო ლიტერატურის გამოყენებასთან, თარგმანის რედაქტირებასა და შეფასების მეთოდოლოგიათა, ასევე სხვადასხვა პრაქტიკულ საკითხებთან, რომელთა გადაჭრაც ხელს უწყობს მთარგმნელის წარმატებულ საქმიანობას, მისი ფუნქციების წარმატებით შესრულებას.

თარგმანის ლინგვისტიკური თეორია, პირველ რიგში, დესკრიპციული თეორიული დისციპლინაა, რომლის მიზანია გამოავლინოს და აღწეროს მთარგმნელობითი პროცესის ობიექტური კანონზომიერებები, რომელთა საფუძველშიც დევს მთარგმნელობით პროცესში მონაწილე ენათა ფუნქციონირების თავისებურებები, სტრუქტურა და წესები. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თარგმანის თეორია აღწერს არა იმას, რაც უნდა იყოს,

არამედ იმას, რაც არის, რაც წარმოადგენს შესასწავლი მოვლენის ბუნებას, ხასიათს. ამასთან, თარგმანის ლინგვისტიკური მექანიზმის აღწერის საფუძველზე შესაძლებელი ხდება სხვადასხვა ნორმატიული რეკომენდაციების, პრინციპებისა და წესების, თარგმანის მეთოდებისა და ხერხების ფორმულირება, რომელთა დახმარებითაც მთარგმნელს შეუძლია წარმატებით გაართვას თავი მის წინაშე არსებულ ამოცანებსა და პრობლემებს. ყველა შემთხვევაში, დაკვირვების ქვეშ მყოფი ფაქტების სამეცნიერო ანალიზი წინ უსწრებს ნორმატიულ რეკომენდაციებს. ნორმატიული რეკომენდაციები, რომლებიც გამომუშავებულია ლინგვოთარგმნელობითი კვლევების საფუძველზე, შესაძლებელია გამოყენებულ იქნას როგორც თარგმანის პრაქტიკაში, ასევე მომავალი მთარგმნელების აღზრდაში. ასეთი რეკომენდაციების გამოყენების უნარი, რომლის მოდიფიცირება ხდება სათარგმნი ტექსტის ხასიათის, პირობებისა და თარგმანის კონკრეტული აქტის მიხედვით, წარმოადგენს მთარგმნელობითი ხელოვნების მნიშვნელოვან ნაწილს. ნორმატიული მოთხოვნების ცოდნა არ გულისხმობს ამ მოთხოვნების მექანიკურ შესრულებას მთარგმნელის მხრიდან. თარგმანი ნებისმიერ შემთხვევაში არის შემოქმედებითი და აზრობრივი საქმიანობა, რომლის შესრულებაც მოითხოვს მთარგმნელისაგან ცოდნის, უნარისა და ჩვევების მთელ კომპლექსს, სწორი არჩევანის გაკეთების უნარს, ლინგვისტიკური და ექსტრალინგვისტიკური ფაქტორების გათვალისწინებით.

რადგან თარგმანი საშუალებაა უზრუნველყოს სხვადასხვა ენებზე მოლაპარაკე ხალხთა შორის ვერბალური ურთიერთობის (კომუნიკაციის) შესაძლებლობა, ამიტომ თარგმანის თეორიისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება კომუნიკაციური ლინგვისტიკის მონაცემებს სამეტყველო კომუნიკაციის პროცესის თავისებურებების შესახებ. თარგმანის ამოცანაა - უზრუნ-

ველყოს ენათაშორისი კომუნიკაციის ისეთი ტიპი, რომლის დროსაც ქმნადობის პროცესში მყოფი ტექსტი "სათარგმნ ენაზე" შესაძლებელია იყოს ორიგინალის სრულყოფილი, სრულფასოვანი, ხარისხიანი კომუნიკაციური შემცვლელი და შესაბამისად, იგი უნდა წარმოადგენდეს ისეთ ნაშრომს, რომელიც გაიგივდება თარგმანის რეცეპტორების საშუალებით თარგმანთან ფუნქციონალური, სტრუქტურული და შინაარსობრივი თვალსაზრისით.

თარგმანის ყველაზე მნიშვნელოვანი ამოცანაა ენობრივი და ექსტრალინგვისტიკური ფაქტორების გამოვლენა/გამოაშკარავება, რომლებიც შესაძლებელს ხდიან გაიგივდეს შეტყობინებათა შინაარსი სხვადასხვა ენებზე. ორიგინალისა და ნათარგმნი ტექსტის ანალოგიური ერთიანი შინაარსი, ანუ აზრობრივი სიახლოვე არის თარგმანის ეკვივალენტობა. ორიგინალის შინაარსსა და თარგმანს შორის რეალური ურთიერთობების შესწავლა გვაძლევს საშუალებას დავადგინოთ ამ ანალოგიის, მსგავსების, ერთიანობის საზღვრები, ანუ მაქსიმალურად შესაძლებელი აზრობრივი სიახლოვე სხვადასხვა ენაზე შესრულებულ ტექსტებს შორის, ასევე დავადგინოთ ორიგინალთან მისი მინიმალური სიახლოვე, რომლის დროსაც მოცემული ტექსტი შეიძლება აღიარებული იქნას ეკვივალენტურ თარგმანად.

თარგმანის უმნიშვნელოვანესი მიზანია, მიადწიოს ორიგინალის შესატყვისობას. ტექსტი შესაბამის დონეზე უნდა ითარგმნოს და შინაარსობრივად უცვლელი დარჩეს, თუმცა ენობრივი კონსტრუქციები, შესაძლოა, მეორე ენისათვის დამახასიათებელი ენობრივი კონსტრუქციებით შეიცვალოს. მთარგმნელის ამოცანაა, თარგმნოს ტექსტი ორიგინალი ტექსტის შესატყვისად, გამოიყენოს თარგმნის ტექნიკა და არ შეცვალოს ტექსტის შინაარსი, თარგმანის დროს დაცვას ენობრივი ნორმები და სიფრთხილით გამოიყენოს იმ ენის თავისებურებები, რომელ ენაზეც სრულდება თარგმანი.

დასკვნა

კომუნიკაციური ლინგვისტიკა თარგმნის პროცესში ორენოვანი კომუნიკაციის აქტის განხორციელების წინაპირობაა, რომლის შემადგენლებად გვევლინება: შეტყობინება, ადრესანტი, ადრესატი, ენობრივი კოდი, არხი (წერილობითი/ზეპირი), ინტენცია. კომუნიკაცია თარგმნის პროცესში სოციალურად განპირობებული პროცესია, რომელიც უზრუნველყოფს ინფორმაციის გადაცემასა და მიღებას როგორც პიროვნებათაშორის, ასევე მასობრივი ენობრივი ურთიერთობის გარემოში, კომუნიკაციის სხვადასხვა ინტენციისა და სხვადასხვა ვერბალური და არავერბალური საშუალებების დახმარებით. კომუნიკაციური ლინგვისტიკა თარგმნის პროცესში გულისხმობს ასევე კულტურულ ადაპტაციის ასპექტსაც, ეს კი თავის მხრივ, მიზნად ისახავს თარგმანის ორიენტაციის უზრუნველყოფას უცხოენოვან რეციპიენტზე. ამ პროცესში თარგმანის ტექსტი განიხილება კომუნიკაციის მიზნის მისაღწევ საშუალებად, ხოლო მთარგმნელის ფუნქციას წარმოადგენს თარგმანის ინტენციისა და გარემოებებიდან გამომდინარე თარგმანის სტრატეგიის შერჩევა და მთარგმნელობითი ტრანსფორმაციების განხორციელება. კომუნიკაციური ლინგვისტიკის საშუალებით თარგმანის პროცესში ინტეგრირებულია ასევე ილოკუციური ასპექტი (აშკარა და ფარული ინტენცია), გამონათქვამი, პრაგმატული პრესუპოზიციები, სამეტყველო ტაქტიკა და კულტურათაშორისი კომუნიკაციის სხვა ფაქტორები. აქედან გამომდინარე, აშკარაა კომუნიკაციური ლინგვისტიკის ფუნქცია და როლი თარგმანის რთული და კომპლექსური პროცესის სრულყოფილად განხორციელების საქმეში..

ლიტერატურა

1. Guidere M. (2008): Introduction a la traductologie. Bruxelles: Groupe De Boeck s.a.

2. Holmes J.S. (1970): The Nature of Translation: Essays in the Theory and Practice of Literary Translation. The Hague: Mouton

3. Комиссаров В. Н. (1980): Лингвистика перевода [Текст] / В. Н. Комиссаров. - М.: Наука, 351 с.

4. Виноградов В. В. (2001): Введение в переводоведение [Текст] / В. В. Виноградов - М. : Ладомир. 464 с.

5. Ulrich Kautz (2002): Handbuch Didaktik des Übersetzens und Dolmetschens.

6. ინტერნეტრესურსები:

<http://wol.jw.org/ka/wol/d/r20/lp-ge/2003686>

<http://corpus.16mb.com>

Общая теория перевода и коммуникативная лингвистика

Табукашвили Русудан Михайловна

Грузинский технический университет

Департамент либеральных наук

Ул. Костава №77, 0175, Тбилиси, Грузия

Тел.: 593 512 484

E-mail: r.tabukashvili@gmail.com

Чиквинидзе Ия Гиглаевна

Грузинский технический университет

Департамент либеральных наук

ул.Костава №77, 0175, Тбилиси, Грузия

Тел.: 551 453 531

E-mail: chikvinidze@gmail.com

Резюме

Общая теория перевода является составной частью лингвистической теории перевода и образует общую парадигму вместе с частными теориями перевода, которые отдельно изучают лингвистические аспекты и закономерности перевода с одного языка на другой. Описание лингвистического механизма перевода дает возможность формулировки разных нормативных рекомендаций, принципов и правил, методов и

способов перевода, которые помогают переводчику решить возникшие при переводе задачи и проблемы. Так же важен аспект по культурной адаптации, установленной целью которого является обеспечение ориентации перевода на иноязычного реципиента.

Ключевые слова:

теория перевода, лингвистическая теория перевода, коммуникативная лингвистика, транслатология.

tion, that enable the translator to cope with the tasks and problems arising in the process of translation. The aspect of cultural adaptation is also important, the aim of which is to provide the orientation of the translation on a foreign language recipient.

Keywords:

the theory of translation, the linguistic theory of translation, communicational linguistics, translatology.

General Theory of Translation and Communicative Linguistics

Rusudan Tabukashvili

Georgian Technical University

Department of Liberal Sciences

77 Kostava str., 0175, Tbilisi, Georgia

Tel.: 593 512 484

E-mail: r.tabukashvili@gmail.com

Ia Chikvinidze

Georgian Technical University

Department of Liberal Sciences

77 Kostava str., 0175, Tbilisi, Georgia

Tel.: 551 453 531

E-mail: chikvinidze@gmail.com

Abstract

General theory of translation is the component of linguistic theory of translation and creates integrated paradigm together with private theories of translation, which separately study linguistic aspects, linguistic regulations of translation from one language into the other. The description of the linguistic mechanism of translation makes it possible to formulate different normative recommendations, principles and rules, methods and modes of transla-

მიგრაციული ფენომენი და მიგრანტ-მწერალთა ენის თავისებურებანი /XX საუკუნის იტალიური ენის მასალაზე/

მაია ჯიჯავა

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ჭავჭავაძის გამზ. №36, 0179, თბილისი,

საქართველო

Tel: 577 507 781

E-mail: m.jijava@ngominerva.org

რეზიუმე

ნაშრომი ეხება იტალიაში მცხოვრებ მწერალ-მიგრანტთა ენას და მათი მშობლიური ენების გავლენას იტალიურ სალიტერატურო ენაზე. ენა, როგორც ცოცხალი ორგანიზმი, მუდმივად იცვლება ახალი აღმოჩენებისა და საჭიროების მიხედვით, რითაც მდიდრდება ენის ლექსიკა. საკმაოდ დიდ გავლენას ახდენენ მის განახლებაზე როგორც მიგრანტები, ასევე ემიგრანტებიც, რომლებიც ახალ საცხოვრებელ ადგილზე საკუთარი ქვეყნის კულტურას, გამოცდილებასა და ლინგვისტურ მრავალსახეობასაც ნერგავენ და ამგვარად ხდება სხვადასხვა ერის ინტერკულტურულ გამოცდილებათა შერწყმა, რომელშიც დომინანტი ენა შთანთქავს დანარჩენებს და უძლებს გლობალიზაციის პროცესს.

საკვანძო სიტყვები:

ჰიბრიდული ენები, იდენტობა, ინტეგრაცია, ინტერკულტურული ასპექტები, მიგრანტი-მწერლები.

შესავალი

საუკუნეების მანძილზე ემიგრაცია, იმიგრაცია და დევნილობა მუდმივად სტიმულს აძლევდა ლიტერატურულ კრეატიულობასა და ენის ლინგვისტურ განახლებას. სხვადასხვა ისტორიული მოვლენა, ომი, ეკონომიკური კრიზისი ყოველთვის იწვევდა მოსახლეობის მასიური ნებით თუ იძულებით გადაადგილებებს, ხშირად საკუთარისგან

რადიკალურად განსხვავებულ გეოგრაფიულ სივრცეში, სადაც მათ სხვა რეალობასთან, სოციალურ გარემოსთან და საჭიროებებთან ერთად ახალ ენასთან შეხვედრა, ადაპტაცია, ათვისება და ჭიდილი უწევდათ. ასეთ სიტუაციაში მყოფი ადამიანები ცდილობენ აღიღვინონ თავიანთი დაკარგული სოციალური სტატუსი, ან დაიმკვიდრონ ღირსეული ადგილი უცხო გარემოში, დაისახონ ცხოვრების ახალი გეგმა, შეძლონ თვითრეალიზება. მათი ახალ გარემოსთან მორგება ხშირად მშობლიური ქვეყნის ჩვევებთან შეუთავსებელიც კი ხდება, რადგან დროთა განმავლობაში ენობრივი ნათესაობა ხშირად საკმარისი აღარ არის იმისათვის, რომ ორ ელემენტს საერთო იდენტობა ჰქონდეს.

ძირითადი ნაწილი

დიასპორული და მიგრაციული ფენომენისგან განპირობებულმა ინტერკულტურულმა განახლების პროცესმა საფუძველი ჩაუყარა იტალიურ ენაში ახალ ლიტერატურულ გამოთქმას – „მეორე ენა“. ამ პროცესში ბევრად უფრო მნიშვნელოვანია მიგრანტი მწერლების როლი, ვიდრე დიასპორის წარმომადგენლებისა, რადგანაც მიგრანტების მიერ ხდება მათი მშობლიური ენის სიმდიდრის გამოყენება, გაზიარება და შერწყმა „მეორე ენად“ წოდებულ იტალიურ ლიტერატურაში. ემიგრაციაში ახლად წასული ადამიანისათვის სწრაფი ინტეგრაცია და შესაბამისად, არსებულთან ასიმილაცია არის მთავარი მიზანი. დიასპორაში მყოფი ეთნიკური იტალიელები ცდილობენ მეტად შეინარჩუნონ ენის სიწმინდე, ადგილობრივი ტერმინოლოგიის გამოყენება მინიმუმამდე დაიყვანონ, რადგანაც სწორედ ენით ახდენენ იდენტიფიკაციას ისტორიულ სამშობლოსთან. შესაბამისად, მათი ლიტერატურა გაჯერებულია არქაიზმებით.

იტალიაში ჩასული მიგრანტების უმრავლესობა არ ფლობს ამ ქვეყნის ენას. შესაბამისად, ენის შესწავლის პროცესი ხდება სპონტანურად, სწავლების გარეშე. ბოლო პერიოდის მიგრანტებში დამკვიდრებულია გამოთქმა: „ენის შესწავლა გრამატიკის გარეშე“. შედეგად ვიღებთ დამახინჯებულ დიალექტებზე, ჟარგონებზე და ბარბარიზმებით მოსაუბრე ახალ იტალიელებს. ისინი იყენებენ მარტივ და მწირ ლექსიკას და ზოგჯერ სიტყვების ზუსტი მნიშვნელობაც არ იციან. მსოფლიოში არსებული მიგრაციის ფენომენი დიდ ზეგავლენას ახდენს დანიშნულების ქვეყნის ლინგვისტურ განვითარებზე.

საინტერესოა, რომ 70-მილიონიან ეთნიკური იტალიაში უცხოელები, რომელთა მშობლიური ენა გახდა იტალიური, შეადგენენ მოსახლეობის 4,5%-ს. ამ პროცენტული მაჩვენებლის აბსოლუტურ უმრავლესობას შეადგენენ 6-დან 17 წლამდე ახალგაზრდები, მაშინ, როდესაც უფროსი თაობის 80% ჯერ კიდევ ვერ ლაპარაკობს სრულყოფილად იტალიურ ენაზე.

იტალიური დიასპორის ლიტერატურაზე მეტად, სწორედ მიგრანტების შემოქმედება უბიძგებს ნახევარკუნძულს, ახლებური ფორმულირება გაუკეთოს საკუთარ კულტურას, ენასა და ისტორიას. მათი განსხვავებული წერის სტილი აიძულებს იტალიას ტრანსნაციონალური ტენდენციების დაფუძნებისაკენ, რაც შემოქმედებით კრიზისში აგდებს აქამდე არსებულ კულტურულ ცნობიერებას. ეს, ერთი შეხედვით, რუტინული პროცესები ძირს უთხრის კულტურისა და ეროვნული იდენტურობის აქამდე დამკვიდრებულ კონცეფციას, რაც პრობლემას უქმნის ერის ერთიან ხედვას, ზოგჯერ ცვლის ლიტერატურისა და თავად ენის კანონებს.

ყოველივე ეს შეიძლება ჩაითვალოს სოციალურ და კულტურულ მოძრაობად, რომელიც მოიცავს რთულ ეთნიკური ურთიერთობებს და ლოკალიზებულია მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში. ასევე შესაძლებელია, რომ ეს წარმოვიდგინოთ როგორც „ენის დაბინძურების პროცესი“, რაც შლის ენისა და ტერიტორიის

კავშირს, ინახავს და ასიმილირებას უკეთებს სხვადასხვა კულტურისა და ენის ნაკვალევს.

საკმარისია დავასახელოთ ისეთი მიგრანტი მწერლები, როგორცაა კრისტინა ალი ფარა (სომალი, ნატურალიზებული იტალიელი), გაბრიელა გერმანდი (ეთიოპია, ნატურალიზებული იტალიელი), იჯაბა შეგო (სომალი), გაბრიელა კურუვილა (ინდოეთი), კაა მოჰამედ ადენი (სომალი), მარჩა ტიოფილო (ბრაზილია), ორნელა ვორფსი (ალბანეთი), ელვირა დონეს (ალბანელი), რუსკა ჟორჟოლიანი (საქართველო, აფხაზეთი).

აღსანიშნავია, რომ ჩამოთვლილთაგან ყველა ქალია. აქედან გამომდინარე, მათი წიგნების პერსონაჟებიც სუსტი სქესის წარმომადგენლები არიან, რომლებმაც მძიმე გზა გაიარეს დევნილობაში. ამ მიგრანტი მწერლების წერის მთავარი მახასიათებელი თავისუფალი და ემოციური სტილია, რაც კლასიკური იტალიური ლიტერატურის მოყვარულთათვის მიუღებელი აღმოჩნდა. შესაბამისად, მათი შემოქმედება ნაკლებად დაფასებულია იტალიურ საზოგადოებაში.

მიგრანტი მწერლების ნაწარმოებებში, მიუხედავად იმისა, რომ ისინი იტალიურ ენაზე დაწერილი, მაინც იგრძნობა მშობლიური ქვეყნის კულტურული გავლენა. მწერლებიც და პერსონაჟებიც იმ გარემოში რჩებიან, საიდანაც თავად არიან წარმოშობით. ისინი გაუცნობიერებლად გეოგრაფიული მდებარეობის ტყვეობაში ექცევიან. ხშირად აღწერილი ადგილები იდენტიფიცირებულია არამისი საზღვრებითა და ადგილმდებარეობით, არამედ შეხების, გემოს და სურნელის შეგრძნებებით, დამახასიათებელი ხმაურისა თუ ფერების აღწერით.

წარმოშობით სომალელი იჯაბა შეგოსა და კრისტინა ალი ფარას წიგნების კითხვისას, ძნელად თუ მიხვდებით, რომ აღზრდა და განათლება იტალიაში მიიღეს. მათ ნაწარმოებებში მოგადიშო (სომალის დედაქალაქი) და ადის-აბება (ეთიოპიის დედაქალაქი) გაიგივებულია რომთან. მაგალითად, კრისტინა ალი ფარა, რომის ქუჩების აღწერისას, მე-

სსიერებაში მოგადიშოს რუკას იშველიებს, რომელსაც ყავის, ჯანჯაფილისა და ზოგადად სომალური სამზარეულოს სურნელი ასდის. მწერალი მოგადიშოს რუკაზე ნიშნავს რომის ყველა იმ ადგილს, სადაც მას იტალიაში ცხოვრებისას ფეხი დაუდგამს. ტექსტში ერთმანეთს ენაცვლება იტალიური და სომალური იდიომები: „*Parlo difficile, uso costruzioni contorte. Lo faccio soprattutto in principio di discorso, perché voglio dimostrare fino a che punto riesco ad arrivare con la lingua... questa lingua mi appartiene. È il mio balbettio, è il soggetto plurale che mi ha cresciuto, è il nome della mia essenza, è mia madre*“ [ალი ფარა, 2007: 254].

ხოლო აღბანელი მწერლების ელვირა დონესა და ორნელა ვორფის შემოქმედებაში, ადრიატიკის სანაპირო წარმოსახულია სინანულის, ნოსტალგიისა და შთაგონების ობიექტად.

დონესი ნაწარმოებში “ბარგის გარეშე” – *Senza Bagagli*, აღწერს „განსხვავებულ ზღვებს” – *mari diversi* ან „ზღვები ყველგან” *mari ovunque*, როგორც ერთადერთ ადგილს თავისუფლებისა და ოცნებისათვის. ზღვა აღმართულია ზღუდედ, რომელიც მას აშორებს სამშობლოსთან და იქ დატოვებულ შვილთან, რაც უსაზღვრო ნოსტალგიასა და სევდას განაცდევინებს:

„*Scrivo. Pensò nella lingua che non le apparteneva e che spesso, involontariamente, violava la sua*“. [დონესი. 2008: 281].

დონესი ერთ-ერთ ინტერვიუში აღნიშნავს, რომ მას წერისა და ფიქრისას, მუდმივად უწევს ორ ენას შორის მოგზაურობა, რომელიც დახუნძლულია კულტურული მრავალფეროვნებით:

„*A volte il traffico “linguistico” è talmente denso e caotico da mandarmi in una specie di “black out”*“.

ორნელა ვორფის წიგნში „ხელი, რომელსაც არ კბენ” – *ano che non mordi* აღწერს კაპიტალიზმის გავლენის ქვეშ მოქცეულ ნაცრისფერ ქალაქს, სადაც გონებიდან ვერ შლის დედის მოგონებას:

„*Come fai a bombardare un sogno?*“ [ვორფსი. 2007: 47].

სახლისა და ქალაქის კონცეფცია რატომღაც ყოველთვის ღ იტმოტივად გასდევს მიგრანტი მწერლების შემოქმედებას იტალიაში.

იჯაბო შეგოს ნაწარმოებში *a mia casa è dove sono* – „ჩემი სახლი იქ არის, სადაც მე ვარ“, – აღწერილ ქუჩებსა და შენობებს იტალიური და სომალური სახელები ერთმანეთს ენაცვლება: „*L’Italia stava dappertutto nei nomi delle vie, nei volti di meticci rifiutati. E l’Italia non ne sapeva niente, non sapeva delle nostre vie con i suoi nomi, dei nostri meticci con il loro sangue*“ [შეგო. 2010: 27].

ამ მხრივ გამონაკლისს არც ჩვენი იტალიელი თანამემამულე რუსკა ჟორჟოლიანი წარმოადგენს, რომლის ნაწარმოების *La tua presenza è come una città* – „შენი აქ ყოფნა როგორც ქალაქი“ სიუჟეტი ასახავს ოჯახურ საგას, სადაც მოვლენები საბჭოთა პერიოდში, გამოგონილ ქალაქ მიროსლავეში ვითარდება. პერსონაჟები სხვადასხვა ეროვნებისა და თაობის წარმომადგენლები არიან. სხვა მიგრანტი მწერლების მსგავსად, რუსკაც მჭიდროდაა დაკავშირებული სამშობლოსთან და შესაბამისად, ნაწარმოების მთავარი ხაზი მეგობრობა და ერთგულებაა.

„*Almasov un giorno mi disse che il suo eroe era suo padre, e quando gli chiesi tra Stalin e suo padre chi fosse secondo lui l’eroe più grande, non mi rispose nulla. Questa storia la raccontai a casa e i miei mi dissero che era meglio tenermi alla larga da lui. Ora capisco che avevano ragione (...) Sì, ma gli eroi mica crescono i figli dei nemici del popolo come fossero i propri, ed è ciò che pare sia accaduto nel caso degli Almasov. Compagni, qui abbiamo a che fare con qualche buon germe in mezzo a tanta gramigna, e un buon contadino, quando toglie la gramigna, la toglie tutta (silenzio)*“ [ჟორჟოლიანი. 2015: 125-126].

დასკვნა

დღევანდელი რეალობიდან გამომდინარე ჩნდება ახალი ჰიბრიდული ენები, რომლებიც ცილდებიან როგორც კონკრეტულ, ასე-

ვე ვირტუალურ გეოგრაფიულ საზღვრებს. ამ კონტექსტში, ენის დიალექტები და კილოკავები განსხვავებულ პრივილეგირებულ დატვირთვას იძენენ როგორც კონკრეტული რეგიონის კულტურული მემკვიდრეები.

ლიტერატურა

1. Acava Ali Farah C. (2007): Madre Piccola, Milano. Frassinelli
2. Castiglioni I. (2005): La comunicazione interculturale: competenze e pratiche. Roma. Carocci
3. Jorjoliani R. (2015): La tua presenza è come una città. Palermo. Corrimano
4. Sangiorgi R. (2006): (a cura di), Gli scrittori della migrazione, Sartori E., “L’origine della parola: esperienze di scrittura migrante”, in TRICKSTER, Rivista del Master in Studi Interculturali, Anno I, n. 1
5. Scego I. (2004): in “Migra/stranieri in Italia”, in Kúma n. 7
6. <http://www.treccani.it>
7. <http://www.dizionari.corriere.it>

Феномен миграции и языковые свойства писателей-мигрантов

/На материале итальянского языка XX века/.

Джиджава Майя Трифоновна
Тбилисский государственный университет
Факультет гуманитарных наук
Пр. И. Чавчавадзе №36, 0179, Тбилиси, Грузия
Тел.: 577 507 781
E-mail: m.jijava@ngominerva.org

Резюме

В статье представлен язык писателей-мигрантов, живущих в Италии, а так же влияние их родного языка на итальянский литературный язык. Язык, как живой организм, постоянно претерпевает изменения при новых открытиях и надобно-

стях, чем и обогащается лексика языка. Обновлению языка способствуют как мигранты, так и эмигранты, которые, переезжая на новые места обитания, внедряют культуру родной страны, а так же опыт и лингвистическую многоликость. Этим обусловлено слияние интеркультурного опыта разных наций, где язык-доминант подавляет другие языки и претерпевает процесс глобализации.

Ключевые слова:

гибридные языки, идентичность, интеграция, интеркультурные аспекты, писатели-мигранты.

Migrational Phenomenon and the Peculiarities of the Language of Migrant Writers (on the material of Italian Language)

Maia Jijava
Tbilisi State University
Humanitarian science faculty
36, Chavchavadze ave., 0179, Tbilisi, Georgia
Tel.: 577 507 781
E-mail: m.jijava@ngominerva.org

Abstract

The presented paper deals with the language of migrant writers residing in Italy, it also deals with the impact of the native language of these writers on Italian literary language. Language as a living mechanism constantly changes according to new discoveries and necessities and thus its vocabulary enriches. Both migrants and immigrants influence its replenishment greatly, as they introduce their own culture, experience and linguistic variety and thus intercultural experiences fuse, dominant language absorbs the others and copes with the process of globalization.

Keywords:

hybrid language, identity, integration, intercultural aspects, migrant writers.

არტურ რემბოს „გასხივოსნება“, მოდერნული პოეზიის ფუძემდებლური ტექსტი

ნანა გუნცაძე
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ჭავჭავაძის გამზ. №36, 0179, თბილისი,
საქართველო
ტელ. 593 646 000
E-mail: nana_guntsadze@yahoo.com

რეზიუმე

სიმბოლიზმი, უპირველეს ყოვლისა – იდეალიზმი, რომელიც აერთიანებს კანტის, ჰეგელის, შოპენჰაუერის ფილოსოფიურ დებულებებს და რელიგიურ, განსაკუთრებით კათოლიკურ ნოსტალგიას.

ფილოსოფიური თუ რელიგიური სიმბოლისტური დისკურსი ისეთ პრივილეგირებულ სიტყვებზეა აგებული, როგორცაა სული, გონება, იდეალი, არსი და იმ ღრმა რეალობას გამოხატავს, რომელსაც სიმბოლოს მაგია აღმოაჩენს. სიმბოლისტური დისკურსი ბოდლერისა და პოსტკვადრატულ, მოითხოვს ლიტერატურული ფაქტის ავტონომიას, განსაკუთრებით პოეზიისას, რომელიც მშვენიერების სამსახურში უნდა იყოს.

იდეალიზმი, ესთეტიზმი, ლიტერატურის ეზოთერული რელიგია, ტრადიციის გრძნობა და სინთეზის სურვილი, ასეთია სიმბოლიზმის ფილოსოფიური დისკურსის ძირითადი ნიშნები, რომლებიც განიხილებიან ლიტერატურული მონახაზის ჭრილში.

თუკი სიმბოლიზმის ერთ-ერთი რეგისტრი, ესაა ფილოსოფიური იდეალიზმი, მეორე – წმინდად ლიტერატურული რეგისტრი, პოეტურ მიზანში, ვერლიბრში კონცენტრირდება.

ფრანგულ პოეზიაში, საუკუნეების მანძილზე არსებული პოეტური ფორმის, ალექსანდრიულის მონოპოლიის დასასრული, და წესიერი ლექსის ყველა ფორმის ექვემდებარება.

ნება, არსებითად, 1886 წელს გამოქვეყნებული რემბოს უკანასკნელი (1872 წლის) ლექსებიდან და “გასხივოსნებიდან” იწყება, სადაც პოეტი თავისი პროსოდიული ძიებებით მის თანამედროვე პოეტებს: ლაფორგს, კანს, დიუჟარდენს, ახალი რიტმების ძიებისკენ უბიძგებს.

საკვანძო სიტყვები:

სიმბოლიზმი, დისკურსი, ვერლიბრი, იდეალი, ლირიკა, ასონანსი, მითი.

შესავალი

არტურ რემბოს ცხოვრებისადმი, მისი შემოქმედებისადმი ინტერესი დღითიდღე იზრდება და ღრმავდება. იგი დღემდე 37 ენაზეა ნათარგმნი, რაც ნიშნავს, რომ მის ტექსტებს მსოფლიოს ყველა ძირითად და ასევე ზოგიერთ ნაკლებად გავრცელებულ, მაგრამ ცოცხალ ენებზე კითხულობენ. შეიძლება ითქვას, რომ რემბო დღეს მსოფლიოში ფრანგ პოეტთაგან ყველაზე მეტად წაკითხულ პოეტთა რიცხვს ეკუთვნის, რაც შეიძლება აიხსნას პოეტის ნაადრევი და სწრაფი მოწიფულობით გამოწვეული აღფრთოვანებით, რომლის მსგავსი მაგალითი არ არსებობს, მისი პოეტური წერის (écriture) შეუდარებელი სიმდიდრით, მისი განსაცვიფრებელი ბედის მიმართ გაჩენილი კითხვებით, ერთგვარი იდუმალებით, ლეგენდებით, მითებით და განსაკუთრებით, მისი მარადიული ახალგაზრდობის ხატებით.

ძირითადი ნაწილი

საუკუნეების მანძილზე პოეტური ფორმის, ალექსანდრიულის მონოპოლიის დასასრულ-

ლი ფრანგულ პოეზიაში, და წესიერი ლექსის ყველა ფორმის ეჭვქვეშ დაყენება, არსებითად, 1886 წელს გამოქვეყნებული რემბოს უკანასკნელი ლექსებიდან და “გასხივოსნებიდან” იწყება, სადაც პოეტი, თავისი პროსოდიული ძიებებით, ამ დროის პოეტებს: ლაფორგს, კანს, დიუჟარდენს ახალი რიტმების ძიებისკენ უბიძგებს. ამ პერიოდში ძალზე გავრცელებული პოეტური პროზა ძირითადად იმ რიტმულ და პროსოდიულ რესურსებს იყენებს, რომელიც ტრადიციული ვერსიფიკაციისთვისაა დამახასიათებელი; რაც შეეხება ლექსს პროზად, (რომელიც სწორედ ამ ახალი რიტმების ძიების პროცესში იქმნება), პოეტური პროზისაგან განსხვავებით, წერის ხარისხით კი არ განისაზღვრება, არამედ ავტონომიური კომპოზიციით. იგი პროზის წყობას ანიჭებს უპირატესობას და პროზის რესურსებს იყენებს, ფრაზები მოკლეა და ზოგჯერ მუსიკალურიც. ალოაზიუს ბერტრანის, ბოდლერის, რემბოს მიერ შექმნილი ამ ჟანრის პირველი ტექსტების კვალდაკვალ, ვერლიბრის რევოლუციით ფრანგული პოეზიის ახალი ხანა იწყება. ვერლიბრის დამკვიდრება ნიშნავს არჩევანის შესაძლებლობას. ტრადიციული ლექსი ახლა უკვე აუცილებლობა კი არ არის, არამედ ერთ-ერთ კერძო შემთხვევად განიხილება და მას მაღარმეს, ვალერის სახით თავისი გამგრძელებლები ჰყავს; ახალი, მოდერნული პოეზიის სათავეში კი “გასხივოსნების” ავტორია, რომლის მოდერნულობა თავს იჩენს ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებულ თემატურ და ფორმალურ ძიებებში; ვერლიბრში უკიდურესობამდე მისული ლექსის თავისუფლება; მარცვლების რაოდენობა აქ განუსაზღვრელია, რითმის მაგივრად ასონანსია და უმეტეს შემთხვევაში იგი სერიებად დაჯგუფებული არათანაბარი ზომის ტაქებისაგან შედგება.

ჟურნალ “La vogue” -ის 1886 წლის მაისის ნომერში “გასხივოსნების“ დაბეჭდვამ ამ ჟურნალს განსაკუთრებული სახელი მოუტანა. მკითხველების წინაშე იყო აქამდე სრუ-

ლიად უცნობი და განსხვავებული ტექსტები, ვერლიბრით დაწერილი “Mouvement” და “Marine” და სხვადასხვა ზომით დაწერილი ლექსები პროზად.

ეს პუბლიკაცია, რომელიც ავტორის საფრანგეთში არყოფნის დროს გამოქვეყნდა, ამ ჟანრის და საერთოდ, პოეზიის ისტორიაში წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს ეტაპს. “გასხივოსნება“ გათავისუფლდა პრერომანტიკული ლირიკული მოდელისაგან: “პეიზაჟები” აქ სუბიექტის გარემოცვაში არაა დანახული და არ ემსახურება იმ სულიერი მდგომარეობის გადმოცემას, რომელშიც წარმოდგენილია ეს პეიზაჟები. ეს ლექსები არის არა სპლინის გამოხატვა, არამედ მძლავრი და მხიარული გამონათქვამი.

ლირიკული კვანძების რღვევაში რემბო ბოდლერზე შორს მიდის, თუნდაც იმიტომ, რომ, როგორც პიერ რიშარი აღნიშნავს, “გასხივოსნების” “პეიზაჟები” არ არის ერთი მოტივის, ან ერთი განცდის ირგვლივ თავმოყრილი ადგილები, ერთი თვალსაზრისით ერთ ჩარჩოში მოთავსებული. პირიქით, უმრავლესობა მათ შორის ღიაა: „აზვირთებული ზღვები“, „ნაყოფიერი ჭალები“ და ბალები, თუ „მიხაკების ველი“. ფოლადისა და ზურმუხტის ბალახით დაფარული მინდორი, „მარმარილოს სანაპირო“, რომელიც აკრავს ზღვას; „ვერცხლის თვალებისა და თმებისაგან მოქსოვილი მეტალის ხალიჩა, ხის ჯებირებიანი ქვიანი მინდვრები“ ნისლის სუფრები, ესაა ცირკულაციის და მეტამორფოზის სივრცეები. ეს პეიზაჟები უფრო ჰორიზონტალურია, ამავე დროს, დანაწევრებული და აბსურდულ ვიზიონში მოძრაობენ ალაღბედზე, ყოველგვარი გამოკვეთილი მიზნის და დანიშნულების გარეშე. მოძრაობა არ ხდება მაღლიდან დაბლა და ამდენად, არ ჰქმნის ცის და დედამიწის ჰარმონიულ ერთიანობას.

ეს პეიზაჟები ხშირად ირრეალობიდანაა გამოსული და ზღაპრულ დეკორს წარმოადგენს: გიგანტური ძეგლები და უზარმაზარი ტაძრები, „სამარადისოდ თოვლით

დაფარული ქუჩები“, სპილენძის პალმებით და გიგანტური ქანდაკებებით გარშემორტყმული კრატერები გრანდიოზულობის და უჩვეულობის გრძნობას იწვევს მკითხველში. როგორც რიშარი წერს, რემბო ამ ვიზიონებს მიიხნევს პარადოქსულად, ერთსა და იმავე დროს როგორც ფანტასმაგორიებს და ამავდროულად როგორც სპექტაკლებს. ამით იგი ხაზს უსვამს, რომ ეს ვიზიონები მისგანაა გამოსული და მის გარეშე ისინი არ იარსებებენ.

რემბოს ეს ტექსტები გათავისუფლდა ბოლღერის ლოგიკური მოდელისაგან. ისინი სრულებით არ გვანან სიმბოლისტური ყაიდის “მუსიკალურ” ან “პლასტიკურ” (მორეასის ტიპის) ლექსებს. მით უფრო, არა აქვთ მალარმეს ტექსტების სინთეზური ფორმა.

ეს ტექსტები სრულიად ახალია პოეზიის ისტორიაში და წარმოშობს კითხვის პრობლემებს. აქედან გამომდინარე, გასაკვირი არაა, რომ “გასხივოსნების” ტექსტებს იმ ეპოქის კრიტიკა, მიუხედავად კლოდელის აღტაცებისა, არ გამოეხმაურა. რემბო აღმოაჩენინა პ. რევერდის, მაქს ჟაკობს, სიურრეალისტებს 1912 წ. „Mercure de France-ის“ ცნობილმა პუბლიკაციამ. “გასხივოსნების” ლექსი პროზად – ესაა თანამედროვე პოეზიის სათავე, სადაც ქრება განსხვავება პროზასა და ლექსს სწორის.

დასკვნა

მას შემდეგ, რაც ლექსი პროზად გავრცელებულ ჟანრად იქცა, კრიტიკოსები ზოგიერთი პოეტისთვის, ასეთი ტექსტების შთაგონების წყაროდ გრაფიკულ ხელოვნებას (ნახატებს, გრაფიურებს) მიიხნევდნენ. უნდა ითქვას, რომ, როდესაც ხელოვნების ნაწარმოები წარმოდგენილია როგორც მოდელი, მაშინ საქმე ეხება ხელოვნების ტრანსპოზიციას. ამ ესთეტიკითაა შექმნილი გოტიეს “Emaux et Camees“; გოტიე ამ შემთხვევაში პოეზიის მყარ ფორმას აძლევს უპირატესობას. რაც შეეხება რემბოს “გასხივოსნე-

ბას”, ის არ შეიძლება წავიკითხოთ როგორც ხელოვნების ტრანსპოზიცია. ა. რემბოს „გასხივოსნება“, სადაც ავტორს შეტანილი აქვს მოკლე სცენები, ფანტასტიკური შთაბეჭდილებები, უძველესი აღმოსავლური პოეზიით, ლეგენდებით და მითებით შთაგონებული ტექსტები, ძირითადად ლექსი პროზად და ვერლიბრია.

“გასხივოსნების“ ეს ტექსტები ავტორის მხრიდან ხშირად ალოგიკურ, მხოლოდ შინაგანი სიმართლით განპირობებულ ასოციაციათა შეგნებულ შემოტანას ეყრდნობა. ამგვარად, პოეტი ქმნის ერთდროულად მბრწყინავ, კაშკაშა სხივებით აელვარებულ და მოღრუბლულ, პირქუშ სამყაროს, ჰაეროვანსა და მყარს, კონკრეტულს და ჯადოსნურს, სადაც მითოსიდან ამოტივტივებული სახეები მოგვი პოეტის წარმოსახვის კაპრიზს ემორჩილებიან. ეს ის უცხო და შემაშფოთებელი რეალობაა, რომელსაც პოეტი შეიცნობს საკუთარი მე-ს სიღრმეში და რომელსაც XX ს-ში ფსიქოლოგია არაცნობიერს უწოდებს. ა. რემბოს “გასხივოსნება” მოდერნული პოეზიის ფუძემდებლური ტექსტია.

ლიტერატურა

1. Marcelin Pleyne (2005): Rimbaud en son temps. Gallimard
2. Alain Coelho (1995): Arthur Rimbaud fin du siècle. Essais Joseph K.
3. Pierre Brunel (1983): Rimbaud ou l'éclatant désastre. Champ Vallon
4. Michel Butor. Improvisations sur Rimbaud.
5. Rimbaud. Œuvres complète. Bibliothèque de la pléiade.

**„Озарение“ Арюра Рембо,
основоположный текст
современной поэзии**

Гунцадзе Нана Петровна
Тбилисский государственный университет
Факультет гуманитарных наук
Пр. И. Чавчавадзе №36, 0179, Тбилиси, Грузия
Тел.: 593 646 000
E-mail: nana_guntsadze@yahoo.com,

Резюме

Первым долгом, символизм это идеализм, который объединяет философские уставы и религиозную, особенно католическую ностальгию.

Философский или религиозный символистический дискурс создан на основе таких привилегированных слов, как душа, разум, идеал, суть, и он выражает ту глубокую реальность, которую показывает магия символа. Символистический дискурс требует автономии литературного факта, особенно поэзии, которая служит красоте.

Идеализм, эстетизм, эзотерическая религия литературы, чувство традиции и желание синтеза, – таковы основные знаки философского дискурса символизма, которые рассматриваются в разрезе литературного обзора.

Во французской поэзии, окончание монополии поэтической формы – начинается с выпуска в 1886 году, последними стихами А. Рембо и „Озарением“. В них Рембо просодийскими поисками своим современникам – поэтам: Канну, Дюжардену и Лафоргу диктует поискать новые рифмы.

Ключевые слова:

Символизм, дискурс, верлибр, идеал, лирика, ассонанс, миф.

“Irradiation” of Rembo, the Fundamental Text of Modern Poetry

Nana Guntsadze
Tbilisi State University
Humanitarian science faculty
36, Chavchavadze ave., 0179, Tbilisi, Georgia
Tel.: 593 646 000
E-mail: nana_guntsadze@yahoo.com

Abstract

Symbolism is first of all idealism, which unites the philosophical thesis of Cant, Hegel, Shopenhauer and religious, especially catholic nostalgia.

Philosophical or religious sybolistic discourse is constructed on the priviledged words, like soul, intelligence, ideal, essence and expresses high reality which is discovered by the magic of symbol. Symbolistic discourse requires the autonomy of literary fact, especially of poetry, which should serve beauty.

“Irradiation” of Rembo, where the author brings in short scenes, fantastic impressions, ancient oriental poetry, legends and myths, is essentially verse as prose and verlibre.

Keywords:

Symbolism, discourse, verlibre, ideal, assonance, myth.

„სამყაროს ხატი“ მოდელირების, კოგნიციისა და კოგნიტური ლინგვისტიკის პრობლემატიკა

ნათია ჩაგანავა
საქართველოს უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა დეპარტამენტი
კოსტავას ქ. №77ა, 0179, თბილისი
საქართველო
ტელ: 558 020 989
E-mail: chaganavan@yahoo.com

რეზიუმე

ენის ფილოსოფიაში „სამყაროს ხატი“ მრავალსახეობრივი და პოლივარიანტულია. ტერმინოლოგიურ დიფუზურობას ემატება ის ფაქტიც, რომ სამყაროს ხატი ჯერ კიდევ არ ქცეულა აქსიომატურ ფენომენად ენათმეცნიერებაში, თუმცა იგი სრული ობიექტურობით შეიძლება ჩაითვალოს ენის თანამედროვე ფილოსოფიის იდეოთნიკური მიმართულების ერთ-ერთ ფუძემდებლურ ფენომენად. სამყაროს სტრუქტურირება ქმნის იმ პრიზმას, რომელშიც ადამიანი ხედავს სამყაროსა და საკუთარ თავს. რეალურ სამყაროში არსებულ საგანთა და მოვლენათა სახედების, სამყაროში მათი ადგილის განსაზღვრის მეშვეობით, ადამიანი „ერგება“ რეალურ სამყაროს. ასე იქმნება სამყაროს ხატი – კონკრეტული ეთნოსის წარმომადგენელთა შეხედულება საკუთარ ყოფიერებაზე.

საკვანძო სიტყვები:

სამყაროს ხატი, ანთროპოცენტრიზმი, კოგნიცია, კონცეპტი.

შესავალი

ლინგვისტიკაში სამყაროს ენობრივი ხატის ცნების გაჩენა წარმოადგენს გნოსეოლინგვისტიკის როგორც ლინგვისტიკის ნაწილის წარმოშობის სიმპტომს, რომელიც ვითარდება ანთროპოცენტრულ საწყისებზე.

პირველად, XX საუკუნის დასაწყისში ეს ტერმინი ფიზიკაში გამოიყენეს. ერთ-ერთ

თი პირველი მკვლევართაგანი, რომელმაც დაიწყო აღნიშნული ტერმინის გამოყენება სამყაროს ფიზიკურ ხატთან მიმართებაში, იყო გ. ჰერცი (1918). მისი ინტერპრეტაციით, სამყაროს ფიზიკური ხატი წარმოადგენს გარე სამყაროში არსებულ საგანთა შინაგან მახასიათებელთა ჯამს – „სურათს“. სწორედ აღნიშნულ მახასიათებელთა გათვალისწინებითა და ლოგიკური გზითაა შესაძლებელი მონაცემთა მოპოვება საგანთა ქცევის შესახებ.

ენისმიერი სამყაროს ხატის თავისებურებებს მიეკუთვნება ასევე აზრის რეპრეზენტაცია სინტაქსურ კონსტრუქციებში, რომლებიც დამახასიათებელია მოცემული ენისათვის.

ძირითადი ნაწილი

სამყაროს ენისმიერი ხატის ცნების არსის თაობაზე არსებულ ვერსიათა სიმრავლეში უდავო რჩება შემდეგი:

- მსოფლიოს ენობრივი დანაწევრება განსხვავდება სხვადასხვა ხალხებში;
- საქმიანობის პროცესში ადამიანის ცნობიერებაში წარმოიქმნება არსებული სამყაროს სუბიექტური გამოსახულება;
- ადამიანი ითვისებს ენას ისევე როგორც გარემომცველ სამყაროს.

სამყაროს სურათის ფიზიკური, ფილოსოფიური და ლინგვისტიკური ინტერპრეტაცია ქმნის სამყაროს ენისმიერი ხატის ანალიზის საფუძველს. ენა უშუალოდ მონაწილეობს სამყაროს ხატთან დაკავშირებულ ორ პროცესში:

- პირველი - ენის წიაღში ფორმირდება სამყაროს ენისმიერი ხატი;

- მეორე - თავად ენა გამოხატავს ადამიანის სამყაროს სხვა სურათებს.

აღნიშნული სურათები შემოდის ენაში სპეციალური ლექსიკით. მათ შემოაქვთ ენაში ადამიანისა და მისი კულტურის მახასიათებლები. ენის მეშვეობით, ინდივიდების გამოცდილებაზე დაფუძნებული ცოდნა გარდაიქმნება ენობრივი კოლექტივის მონაპოვრად, კოლექტიურ გამოცდილებად.

ლინგვისტიკა კავშირს ამყარებს სამყაროს ხატთან და ენასთან, შეისწავლის ენის მეშვეობით შინაარსის ფიქსაციის ხერხებს, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სამყაროს ენისმიერ ხატს, რომელიც ფორმულირდება კონცეპტუალური სამყაროს ხატზე დაყრდნობით. სამყაროს ხატი, როგორც ობიექტური რეალობის სუბიექტური გამოსახულება გამოიხატება ნიშანთა ფორმაში.

კატეგორიისა და კატეგორიზაციის გაგება ერთ-ერთი ძირითადია ადამიანის მოღვაწეობაში და კოგნიტური მიდგომის ერთ-ერთი ძირითადი გასაღებია. ობიექტებისა და მოვლენების კლასიფიცირება, მათი განაწილება სხვადასხვა კლასის, ასპექტის, ხარისხის და კატეგორიის მიხედვით მოწმობს იმას, რომ სამყაროს გაგების პროცესში ადამიანი აკეთებს დასკვნებს ერთი ობიექტის მეორესთან იდენტურობასა ან განსხვავებულობასთან დაკავშირებით. კატეგორიზაცია წარმოადგენს სამყაროს მოწესრიგების, მოვლენებისა და ობიექტების სისტემატიზაციის ძირითად საშუალებას. კონცეპტუალიზაციის პროცესისგან განსხვავებით, კატეგორიზაციის პროცესი მიმართულია განსხვავებული ერთეულების გაერთიანებისაკენ უფრო დიდ ჯგუფში.

კოგნიტური ლინგვისტიკის ძირითად მიზანს წარმოადგენს ენობრივი ფორმის მის მენტალურ რეპრეზენტაციასთან დაკავშირება.

რამდენადაც კოგნიციის მთავარ შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს ენა, კოგნიტური ლინგვისტიკის პრობლემატიკა შეიძლება გავიზოროთ როგორც კოგნიციისა და ენის

პრობლემათა თანაფარდობის ანალიზის სივრცე.

აღნიშნული ანალიზი გულისხმობს სამყაროს შეცნობისა და ადამიანის ყოველდღიურ გამოცდილებაზე დაფუძნებულ, მუდმივად მიმდინარე ბუნებრივი კოგნიციის დაპირისპირების კვლევას.

კოგნიტური ლინგვისტიკის პრობლემატიკა შეიძლება განისაზღვროს ისეთ საკითხთა ანალიზით, როგორცაა:

- **კოგნიციის არსი:** კოგნიცია წარმოადგენს იმ ძალას, რომლის მეშვეობითაც ორგანიზდება აზრთა წარმოქმნის პროცესი.

- **ინფორმაციის გადამამუშავებელი სისტემის არსი:** კოგნიტივიზში განიხილავს ადამიანს როგორც ინფორმაციის გადამამუშავებელ სისტემას. აღნიშნული სისტემის ფუნქციონირება გულისხმობს ინფორმაციის მოპოვებას, დამუშავებას, შენახვასა და მობილიზებას.

- **„მნიშვნელობისა“ და „ინფორმაციის“ დიფერენცირება:** „მნიშვნელობა“ და „ინფორმაცია“ რადიკალურად განსხვავდება ერთმანეთისაგან: მნიშვნელობა გააჩნია არაინფორმატიულ შეტყობინებასაც კი

- **ენობრივი ცოდნის სტრუქტურათა თავისებურება:** ცოდნის სტრუქტურა არ არის დახშული კონსტრუქტი - იგი მუდმივად ფორმირდება იმავდროულად, ცოდნის სტრუქტურას ძალუძს იმ „ხატთა სამყაროს“ ფორმირება, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ. პერსპექტივათა თანაზიარობის არსი: ერთიდაიგივე ობიექტი შეიძლება სხვადასხვა რამეს ნიშნავდეს სხვადასხვა ადამიანებისთვის.

- **სამყაროს კოგნიტური სურათის სპეციფიკა:** სამყაროს კოგნიტური სურათი გააზრებულია როგორც სინამდვილის მენტალური მოდელი. აღნიშნული მოდელის მეშვეობით შესაძლებელია მოვლენათა გამომწვევი მიზეზების ახსნა, მოვლენათა პროგნოზირება, ასევე ადამიანის გრძნობითი და რაციონალური გამოცდილების ორგანიზება.

• **კონცეპტისა და კონცეპტუალური სფეროს არსი:** კონცეპტი გააზრებულია ადამიანის ცნობიერების გლობალურ ერთეულად, კონცეპტუალური სფერო კი - წმინდა აზროვნების სფეროდ, რომელიც კონსტრუირებულია კონცეპტებისაგან. კონცეპტუალური სფერო წარმოადგენს ერთმანეთთან გარკვეულ მიმართებაში მყოფ კონცეპტთა ერთგვარ ჯაჭვს.

• **კონცეპტუალური სფეროსა და ენის სემანტიკური სივრცის მიმართების საკითხი:** სემანტიკა წარმოადგენს ურთიერთგანმსაზღვრელ ელემენტთა მოწესრიგებულ მთლიანობას. ენის სემანტიკური სივრცის ელემენტთა შორის არსებული კავშირები ასახავს კონცეპტუალურ სფეროში შემავალ კონცეპტთა მიმართებებს. ენის სემანტიკური სივრცე კონცეპტოსფეროს ის ნაწილია, რომელშიც გამოხატულია ენობრივი ნიშნები და მნიშვნელობები. ენობრივი მნიშვნელობა, როგორც სემანტიკური სივრცის ელემენტი, მიბმულია ენობრივ ნიშანთან, ხოლო კონცეპტი კი, როგორც კონცეპტოსფეროს ელემენტი, არ არის მიბმული ენობრივ ნიშანთან.

• **მენტალიტეტისა და სამყაროს კოგნიტიური ხატის მიმართების საკითხი:** მენტალიტეტი გააზრებულია როგორც სინამდვილის აღქმისა და გაცნობიერების სტილი. სტილის თავისებურება განპრობებულია ცნობიერების კოგნიტიური სტერეოტიპების თავისებურებით.

• **კონცეპტისა და სიტყვის მიმართების საკითხი:** აზროვნებისა და ვერბალიზაციის მექანიზმები აბსოლუტურად სხვადასხვა მექანიზმებია, შესაბამისად, კონცეპტის სიტყვიერი ნომინაცია არ განიხილება კონცეპტის არსებობის აუცილებელ პირობად. ვერბალიზაციას, შესაძლოა, არ დაექვემდებაროს როგორც მთელი კონცეპტი, ისე მისი ცალკეული აზრობრივი ნაწილი. ნებისმიერი ენობრივი ნიშანი წარმოადგენს კონცეპტს, მაგრამ იგი წარმოადგენს კონცეპტს არა

სრულად - ენობრივი ნიშანი თავისი მნიშვნელობით წარმოადგენს რამდენიმე კონცეპტუალურ თვისებას.

• **კონცეპტისა და მნიშვნელობის მიმართების საკითხი:** კონცეპტსა და მნიშვნელობას შორის არსებობს როგორც მსგავსება (ორივე ასახავს სინამდვილეს), ისე განსხვავებაც (კონცეპტი ადამიანის კოგნიტიური ცნობიერების პროდუქტია, მნიშვნელობა კი – ენობრივი ცნობიერების).

• **სემანტიკური ფრეიმის არსი:** სემანტიკური ფრეიმი წარმოადგენს ცოდნის რეპრეზენტაციის სტრუქტურასა და ადამიანის მეხსიერების ორგანიზაციის კონცეპტუალურ მოდელს. ადამიანის აზროვნების პროცესის საფუძველს წარმოადგენს მის მეხსიერებაში აკუმულირებული სტრუქტურები – ფრეიმები.

დასკვნა

სამყაროს რაციონალიზაციის გარეშე შეუძლებელია მასში გააზრებული ქმედება. სამყაროს სტრუქტურირება ქმნის იმ პრიზმას, რომელშიც ადამიანი ხედავს სამყაროსა და საკუთარ თავს. რეალურ სამყაროში არსებულ საგანთა და მოვლენათა სახელდების, სამყაროში მათი აღვილის განსაზღვრის მეშვეობით, ადამიანი „ერგება“ რეალურ სამყაროს. ასე იქმნება სამყაროს ხატი - კონკრეტული ეთნოსის წარმომადგენელთა შეხედულება საკუთარ ყოფიერებაზე.

ლიტერატურა

1. Bahner W. J. V. D. Schildt eds. (1987): Proceedings of the Fourteenth International Congress of Linguists: Berlin (GDR), August 10 –15. – B.: Akademie
2. Dirven R., & Verspoor M. (1998): Cognitive Exploration of Language and Linguistics. Amster-

dam: Benjamins. Chapter 1: The cognitive basis of language: language and thought. pp. 1-24

3. Dunn W.N., Cahill A.G., Dukes M.J. & Ginsberg A. (1986): "Cognitive Methodology: Perspectives, Concepts, and Methods". JAI Press.

4. Gardiner A. (1985): The mind's new science: the history of cognitive revolution. N-Y

5. Hume D. (1963) : An Enquiry Concerning Human Understanding and other Essays, Washington Square Press, New York.

Проблема когнитивной лингвистики, когниции и моделирования „картины мира“

Чаганав Натия Ревазовна

Университет Грузии

Гуманитарная школа

Ул. Костава №77а, 0175, Тбилиси, Грузия

Тел.: 558 020 989

E-mail: chaganavan@yahoo.com

Резюме

В философии языка „Картина мира“ многолика и поливарианта. К терминологической диффузорности добавляется и тот факт, что картина мира еще не превратилась аксиоматным феноменом в языкознании, хотя ее можно объективно считать одной из основных феноменов идеозтнического направления современно философии языка. Структурирование мира создает ту призму, через которую человек видит мир и самого себя. С помощью именованя предметов и явлений, существующих в реальном мире, а также определения их места в мировом пространстве, человек „сливается“ с миром. Так создается картина мира – понятие о собственном бытие представителей конкретного этноса.

Ключевые слова:

картина мира, антропоцентризм, когниция, когнитология, концепт.

Problem of World View Modeling, Cognition and Cognitive Linguistics

Natia Chaganava

The Unieversity of Georgia

School of Humanities

77a Kostava street, 0175, Tbilisi, Georgia

Tel: 558 020 989

E-mail: chaganavan@yahoo.com

Abstract

“World View” is varied and polyvariety in Language Philosophy. It reveals many private features within the frames of each author’s concept. It means that while analyzing phenomenon of the “world view” , authors don’t take into consideration generally accepted definitions. Besides Terminological diffusion , the world view has not still become an axiomatic phenomenon in linguistics. However, It can be considered with full objectivity as a fundamental phenomenon of ideoehtnicity of contemporary philosophy of the language. Structure of the universe creates the prism where people see the world and themselves. By naming objects and events existing in the real world, determining their place in the world , Person “fits” the real world. Thus is created the Universe-Specific ethnic groups’ view about their well- being.

Keywords:

World View, Anthropocentrism, Cognition, Concept.

Le paratexte et l'incipit pour la détermination du genre de „l'Amant“ de M. Duras

Nino Revazishvili

Université d'Etat de Tbilissi

36, ave. Chavchavadze, 0179, Tbilissi, Georgie

Tel.: 568 139 373

Résumé

„L'Amant“ de Marguerite Duras apparaît comme un livre où un auteur à la fois connu et mystérieux se livre à la confidence sur un passé familial et amoureux peu ordinaire. Le recours à des procédés de type autobiographique met en question le genre du texte de „l'Amant“ et sème la confusion parmi les lecteurs. Dans le courant de cette étude, nous avons essayé de préciser les fonctionnements du paratexte et l'incipit de „l'Amant“ : à quel degré assurent-ils leurs fonctions pour la détermination du genre de „l'Amant“ ; d'une part, le paratexte qui doit mettre en valeur le texte et d'autre part, l'incipit qui doit installer le lecteur dans le contexte.

Mots-clés:

le genre, le paratexte, l'incipit, l'autobiographie, la forme littéraire.

Introduction

Marguerite Duras n'a revendiqué l'autobiographie qu'en 1984, mais avant cette date elle donnait ouvertement des éléments permettant de pressentir l'importance de la relation entre sa vie et son écriture. Elle a toujours tiré de son vécu la matière de ces livres, mais particulièrement dans „l'Amant“ elle manifeste sa démarche à la fois autobiographique et contradictoire à elle-même où elle écrit : „L'histoire de ma vie n'existe pas. Ça n'existe pas. Il n'y a jamais de centre. Pas de chemin, pas de ligne“.*

Partie principale

La date de 1984 est réellement le point de départ

* Marguerite Duras, „L'Amant“, Editions de Minuit, 1984.p. 14

d'une période nouvelle dans l'écriture de Marguerite Duras, elle manifeste le désir de pratiquer une autre forme de littérature, proche des événements présents de sa vie. Le rapport de Duras à l'autobiographie se rattache à des préoccupations s'affiliant à des concepts plus larges : la mémoire, l'identité, la vérité. Mais avant l'inscription de „L'Amant“ dans le genre autobiographique il importe de confronter le livre aux critères du genre, notamment d'explorer les questions du paratexte et de l'incipit qui sont les éléments composants du contrat de lecture. La question se pose de la manière suivante : quels sont les rôles tenus par le paratexte et l'incipit dans la détermination du genre de „l'Amant“ ?

Philippe Lejeune établit la définition du genre autobiographique : „Le **récit rétrospectif en prose qu'une personne réelle fait de sa propre existence, lorsqu'elle met l'accent sur sa vie individuelle, en particulier sur l'histoire de sa personnalité**“.** Sa caractéristique essentielle est que l'auteur, qui signe le livre, le narrateur, qui assume le récit, et le personnage principal ne font qu'un. La première personne „je“ inclut cette triple instance. Comment être sur que ce „je“ du texte et l'auteur dans „L'Amant“ font un? De ce point son paratexte n'est pas complètement informatif. Selon Genette „Le paratexte est pour nous ce par quoi un texte se fait livre et se propose comme tel à ses lecteurs, et plus généralement au public“.**.* Philippe Lejeune concrétise le terme et remarque que c'est la „frange du texte imprimé qui, en réalité, commande toute la lecture“.**.* Le paratexte éditorial de „l'Amant“ (émané de l'éditeur d'après Genette : pages de couverture, page de titre, annexes etc.) est bien factuel : sur la page 1 de couverture figurent : le nom de l'auteur, le titre de l'ouvrage, le logo de l'édition et le titre de l'édition. Comme

** Philippe Lejeune, „Le Pacte autobiographique“, nouvelle édition augmentée, Ed. du Seuil, 1975, 1996. p.14

*** Gérard Genette, „Seuils“, Collection „Poétique“, Ed. du Seuil, Paris, 1987. p.7

**** Philippe Lejeune, „Le Pacte autobiographique“, nouvelle édition augmentée, Ed. du Seuil, 1975, 1996. p.45

d'habitude sur cette page de couverture, on trouve l'indication générique de l'œuvre. Mais „l'Amant“ n'est pas sous-titré comme „roman“ : „On m'a demandée de mettre „roman“, déclare Marguerite Duras à Marianne Alphant dans „Libération“. J'ai dit que je pouvais le mettre et puis je ne l'ai pas mis. J'ai préféré la sécheresse du blanc. Qu'on dise „roman“ ou non, au fond, ça les regarde, les lecteurs. La lecture, c'est le roman. Quand elle se produit, rien ne peut se comparer à cette lecture-là, elle est miraculeuse“.* Elle dit à Bernard Pivot : „C'est la première fois que je n'écris pas une fiction. Tous mes autres livres sont des fictions“. Elle confirme ainsi ce qu'elle écrit dans l'Amant : „J'ai beaucoup écrit de ces gens de ma famille, mais tandis que je le faisais, il vivaient encore, la mère et les frères, et j'ai écrit autour d'eux, autour de ces choses sans aller jusqu'à elles“.** Les pages 2 et 3 de couvertures sont blanches ou „muettes“ comme dit G. Genette dans „Seuils“ (p.28). La page 4 de couverture de „L'Amant“ comporte le commentaire présenté en forme d'un extrait de presse : notamment de François Nourissier pour „Le Figaro Magazine“ (20 octobre 1984). Le dos de couverture est classique : le nom de l'auteur, le titre de l'ouvrage et le label de l'éditeur. De même – la page de titre : le titre et ses annexes.

Le paratexte auctorial de „l'Amant“ (émané de l'auteur d'après Genette : dédicace, épigraphe, préface, etc.) est partiel : aucune préface ne vient authentifier les faits qui seront narrés. Quand à la dédicace, elle se réduit au nom du dédicataire : „Pour Bruno Nuytten“, un cinéaste qui, par amitié, a été souvent le cameraman des films de Duras. De même, les références spatio-temporelles portées au lieu et place de la signature n'attestent que les circonstances de la rédaction : „Neauphle-le-Château – Paris / février-mai 1984“.

Le titre „L'Amant“ laisse prévoir certains drames sans les dire et installe le lecteur dans une attente. Les fonctions du titre établies par Charles Grivel dans

* „Ils n'ont pas trouvé de raisons de me le refuser“, propos recueillis par Marianne Alphant, *Libération*, 13 novembre 1984

** Marguerite Duras, „L'Amant“, Editions de Minuit, 1984.p. 14

la „Production de l'intérêt romanesque“ se voient mentionner dans la définition de Leo H. Hoek : c'est l'„ensemble de signes linguistiques (mots, phrases, voire textes) qui peuvent figurer en tête d'un texte pour le designer, pour l'identifier, pour en indiquer le contenu global et pour allécher le public visé“. Parmi les fonctions plus précisées par Genette, „L'Amant“ ne répond qu'à la fonction thématique du titre. Dans la classification des titres „L'Amant“ se trouve parmi les titres métonymiques (terme de Genette) parce qu'„il s'attache à un objet moins indiscutablement central“, en d'autres termes, le titre renvoie à un personnage secondaire de l'histoire, un riche Chinois dont elle tombe amoureuse.

Lorsque le paratexte n'est pas suffisant pour le nouement du pacte de lecture, c'est l'incipit, les premières lignes du texte qui est l'espace privilégié où s'établit un contrat de lecture visant à orienter la réception du texte. Il n'existe pas dans le genre romanesque de phrases types de début parfaitement définies et universellement reconnaissables, la seule ouverture conventionnelle semble être représentée par un incipit qui introduit le lecteur dans le monde de la fiction en ouvrant ainsi différents parcours narratifs possibles.

Les premières lignes du texte évoquent, dans la tradition du genre autobiographique, la situation qui a servi de „éclencheur“ et provoque chez l'auteur le désir d'écrire sur son passé : „Un jour, j'étais âgée déjà, dans le hall d'un lieu public, un homme est venu vers moi. Il s'est fait connaître et il m'a dit : Je vous connais depuis toujours. Tout le monde dit que vous étiez belle lorsque vous étiez jeune, je suis venu pour vous dire que pour moi je vous trouve plus belle maintenant que lorsque vous étiez jeune, j'aimais moins votre visage de jeune femme que celui que vous avez maintenant, dévasté“***; un homme fait une réflexion sur l'évolution de son visage et affirme le trouver plus beau aujourd'hui qu'autrefois. Il renvoie ainsi Marguerite Duras à une image d'elle-même antérieure à toute rencontre, avant ce passage du bac sur le Mékong qui marque une étape capitale

*** Marguerite Duras, „L'Amant“, Editions de Minuit, 1984.p.9

dans sa vie : à quinze ans et demi, elle quitte ainsi la concession de son enfance pour accomplir ses études secondaires dans une pension d'Etat de Saigon. „L'Amant“ est donc présenté comme une quête des origines, une démarche pour retrouver celle dont le visage était intact. On peut bien douter qu'il s'agit donc bien d'un „récit rétrospectif en prose qu'une personne réelle fait de sa propre existence, lorsqu'elle met l'accent sur sa vie individuelle, en particulier sur l'histoire de sa personnalité“.

Conclusion

Malgré que Duras ne propose aucun contrat de lecture explicite, d'après l'analyse du paratexte et l'incipit de „L'Amant“ suggérant une synthèse de l'autobiographie et de la fiction, on peut conclure que c'est une histoire, une œuvre de fiction avec des lieux, des description, un narrateur, des personnages, des événements, un nœud et une dénouement, c'est un roman.

Littérature

1. Marguerite D. (1984): „L'Amant“, Editions de Minuit. 145 pages
2. Gérard G. (1987): „Seuils“, Collection „Poétique“. Ed. du Seuil. Paris. 389p.
3. Lejeune Ph. (1966): „Le Pacte autobiographique“, Editeur : Seuil, Nouvelle édition augmentée. pages 382
4. Leo H. Hoek (1981): „La marque du titre, Dispositifs sémiotiques d'une pratique textuelle“, Paris-La Haye-New York, Mouton,. 368 pages
5. Grivel Ch. (1973): „Production de l'intérêt romanesque“, Paris-La Haye. Mouton. p.166-181. 428 pages
6. Andréa Del Lungo (2003): „L'incipit roma-

* Philippe Lejeune, „Le Pacte autobiographique“, nouvelle édition augmentée, Ed. du Seuil, 1975, 1996. p.14

nesque“, Seuil (12 septembre). Collection : Poétique Broché: 384 pages

7. Amos Oz, „L'histoire commence“, essai, Éditeur : Calmann-Levi (2003), 180 pages

8. Emissions télévisées : „Apostrophes“, prod. Antenne 2, émissions de Bernard Pivot, réalisation Jean Cazenave, diffusion 28 septembre 1984.

პარატექსტი და ინკიპიტი მ. დიურასის „საყვარლის“ ჟანრის განსაზღვრისთვის

ნინო რევაზიშვილი

*თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ჭავჭავაძის გამზ. №36, 0179, თბილისი,
საქართველო
ტელ.: 568 139 373*

რეზიუმე

მარგერიტ დიურასის „საყვარელი“ წარმოადგენს ტექსტს, რომელშიც ცნობილი და ამაღვდროულად, საიდუმლოებით მოცული ავტორი, თავისი ოჯახისა და პირადი არაორდინარული სასიყვარული წარსულის შესახებ ღიად მოგვითხრობს. ავტობიოგრაფიული რომანისთვის დამახასიათებელი წერის მანერა აღნიშნული ტექსტის ჟანრის საკითხს კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს. სტატიაში შევეცადეთ გვეჩვენებინა ნაწარმოების „საყვარელი“ პარატექსტისა და ინკიპიტის როლი ჟანრის განსაზღვრის საკითხში.

საკვანძო სიტყვები:

ჟანრი, პარატექსტი, ინკიპიტი, ავტობიოგრაფია, ლიტერატურული ფორმა

Паратекст и инципит для определения жанра в „Любовнике“ М. Дюраса

Ревазишвили Нино

Тбилисский государственный университет

Факультет гуманитарных наук

Пр. И. Чавчавадзе №36, 0179, Тбилиси, Грузия

Тел.: 568 139 373

Резюме

Роман „Любовник“ Маргерита Дюраса является текстом, в котором известный и в то же вре-

мя загадочный автор, рассказывает о своей семье и о своей неординарной любви в прошлом. Использование автобиографического приёма ставит под сомнение жанр текста „Любовник“.

В статье мы попытались уточнить как работает паратекст и инципит в романе „Любовник“: в частности, в какой степени они выполняют свои обязанности для определения жанра „Любовник“.

Ключевые слова:

жанр, паратекст, инципит, автобиография, литературная форма.

ავტორები

ციური ახელედიანი – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, რომანული ფილოლოგია, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, ემერიტუს-პროფესორი

ქეთევან გაბუნია – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, რომანული ფილოლოგიის მიმართულების ხელმძღვანელი, ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, პროფესორი

რუსუდან გოცირიძე – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტი, ლიბერალურ მეცნიერებათა დეპარტამენტი, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, პროფესორი, ოქსფორდის საუნივერსიტეტო საზოგადოების ასოცირებული წევრი

ნანა გუნცაძე – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, რომანული ფილოლოგიის მიმართულება, ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

მარინა ზორანიანი – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტი, ლიბერალურ-მეცნიერებათა დეპარტამენტი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

რუსუდან თაბუკაშვილი – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტი, ლიბერალურ მეცნიერებათა დეპარტამენტი, ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, პროფესორი

დოდო ლაბუჩიძე – გრიგოლ რობაქიძის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ფილოსოფიისა და სოციალურ მეცნიერებათა კვლევითი ინსტიტუტი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ნინო რევაზიშვილი – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტი

ნათია ჩაგანავა – საქართველოს უნივერსიტეტი, ჰუმანიტარული სკოლის დოქტორანტი

ია ჩიქვინიძე – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტი, ლიბერალურ მეცნიერებათა დეპარტამენტი, ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

მაია ჯაჯავა – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტი

ჟურნალის რედკოლეგია

- მაია ჩხეიძე** – საქართველოს უნივერსიტეტი, ენების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
- რუსუდან თაბუკაშვილი** – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტი, ლიბერალურ მეცნიერებათა დეპარტამენტი, ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, პროფესორი
- გიოლა ფურცელაძე** – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
- ია ჩიქვინიძე** – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტი, ლიბერალურ მეცნიერებათა დეპარტამენტი, ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
- ჰანს რუდიგერ ფლუკი** – ბოხუმის უნივერსიტეტის პროფესორი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი
- კულპაშ ბეიბიტოვა** – ევრაზიის გუმილიოვის სახ. ეროვნული უნივერსიტეტის პროფესორი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი (ქ. ასტანა)
- ტანია გრისჰამერი** – ფილოლოგიის მაგისტრი (DAAD)
- ქეთევან გაბუნია** – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, რომანული ფილოლოგიის მიმართულების ხელმძღვანელი, პროფესორი
- მარია მიხაილოვა** – მოსკოვის ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, რუსეთის საბუნებისმეტყველო აკადემიის აკადემიკოსი
- სიღვია ბოტევა** – სოფიის წმინდა კლემენტ ოპრიდელის სახელობის უნივერსიტეტი, რომანული ფილოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
- ტატიანა მეგრელიშვილი** – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტი, ლიბერალურ მეცნიერებათა დეპარტამენტი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
- ალბა გრაციანო** – იტალიის ქ. ტუსციას უნივერსიტეტი, ენების ცენტრის დირექტორი, ფილოლოგიის დოქტორი, პროფესორი
- ალესანდრა სპადაფორა** – იტალიის ქ. ტუსციას უნივერსიტეტი, ენების ცენტრი, ფილოლოგიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
- გიორგი ყუფარაძე** – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
- რუსუდან გოცირიძე** – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტი, ლიბერალურ მეცნიერებათა დეპარტამენტი, ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, პროფესორი, ოქსფორდის საუნივერსიტეტო საზოგადოების ასოცირებული წევრი

Редколлегия журнала

Майя Чхеидзе – Грузинский университет, руководитель департамента языков, доктор филологических наук, профессор

Русудан Табукашвили – Грузинский технический университет, факультет бизнес-инженеринга, департамент либеральных наук, академический доктор филологии, профессор

Виола Пурцеладзе – Тбилисский государственный университет им. Иванэ Джавахишвили, доктор филологических наук, профессор

Ия Чиквинидзе – Грузинский технический университет, факультет бизнес-инженеринга, департамент либеральных наук, академический доктор филологии, ассоциированный профессор

Ганс Руддигер Флук – Профессор Бохумского университета, доктор филологических наук, профессор

Кульпаш Бейбитова – Профессор национального университета Евразии им. Гумилева (г. Астана), доктор филологических наук

Таня Грисхаммер – Магистр филологии (DAAD)

Кетеван Габуния – Тбилисский государственный университет им. Иванэ Джавахишвили, факультет гуманитарных наук, академический доктор филологии, руководитель направления романской филологии, профессор

Мария Михайлова – Московский государственный университет им. М. Ломоносова, доктор филологических наук, профессор, академик Российской Академии Естественных Наук (РАЕН)

Сильвия Ботева – Софийский университет им. Святого Клементя Охридского, руководитель департамента романской филологии, профессор

Татьяна Мегрелишвили – Грузинский технический университет, факультет бизнес-инженеринга, департамент либеральных наук, доктор филологических наук, профессор

Альба Грациано – Университет г. Тусция (Италия), директор центра языков, профессор

Алессандра Спадафора – Университет г. Тусция (Италия), доктор филологии, ассоциированный профессор центра языков

Георгий Купарадзе – Тбилисский государственный университет им. Иванэ Джавахишвили, факультет гуманитарных наук, академический доктор филологии, ассоциированный профессор

Русудан Гоциридзе – Грузинский технический университет, факультет бизнес-инженеринга, департамент либеральных наук, академический доктор филологии, профессор, ассоциированный член Оксфордского Университетского Общества

Scripta manent

Editorial board

Maia Chkheidze – Head of the Languages Department of Georgian University, Doctor of Philological Science, Professor

Rusudan Tabukashvili – Georgian Technical University, Business-Engineering Faculty, Department of Liberal Sciences, Academic Doctor of Philology, Professor

Viola Purzeladze – Tbilisis' State University, Doctor of Philological Science, Professor

Ia Chikvinidze – Georgian Technical University, Business-Engineering Faculty, Department of Liberal Sciences, Academic Doctor of Philology, Assosiated Professor

Hans Rudiger Fluck – Professor of the Bokhums' University, Doctor of Philological Science

Kulpash Beibitova – Gumilev's National Eurasian University (Astana), Doctor of Philological Science, Professor

Tanya Griskhamer – Master of Philology (DAAD)

Ketevan Gabunia – Tbilisis' State University, Faculty of Humanitarian Sciences, Head of the Dirrection in Romanian Philology, Academic Doctor of Philology, Professor

Maria Mikhailova – Moscow's State University, doctor of Philological Science, the academician of Russian Academy on the Nature Study (RANS)

Sylvia Boteva – Sofia's Uniersity of Holy Klement Okhridsky, the leader of the romanian philology department, professor

Tatiana Megrelishvili – Georgian Technical University, Business-Engineering Faculty, Department of Liberal Sciences, Doctor of Philological Science, Professor

Alba Graziano – University of Tuscia, Italy, Language Center Director, Professor

Alessandra Spadafora – University of Tuscia, Italy, Language Center, Doctor of Philology, Assosiated Professor

Georgi Kuparadze – Tbilisis' State University, Faculty of Humanitarian Sciences, Academic Doctor of Philology, Assosiated Professor

Rusudan Gotsiridze – Georgian Technical University, Business-Engineering Faculty, Department of Liberal Sciences, Academic Doctor of Philology, Full professor, the associate member of Oxford's University Society